მ ა ტ ი ა ნ ე

ჟურნალი გამოდის 1989 წლიდან, 31 მარტი, 2015 წ. №1-2 (11-12)

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი-
– ეროვნული აღორძინების"
თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი



„ვიცი, ვერსით აღუდგება
ვერა ზღუდე-კედელი,
ოდეს ბოროტს განუდგება
ხუნდ-ბორკილთა მკვნეტელი."

მერაბ კოსტავა

და საქართველო დიდჭირნახული
გამოფხიზლდება ყველა იოგით,
ჩვენ ღვთისმშობელი გვწყალობს ხახულის
და გვიცავს მარად თეთრი გიორგი."

ზვიად გამსახურდია

მეგობრებო, მერაბ კოსტავა იტყოდა ხშირად: „საქართველოში ჩვენ გვინდა ნამდვილი დემოკრატია, ნამდვილი „ჰაიდ პარკი“. მას უყვარდა ამ სიტყვის ხშირად ხმარება - „ჰაიდ პარკი“, მასში გულისხმობდა აზრის თავისუფალ გამოთქმას, თავისუფალ პაექრობას ყოველგვარი ურთიერთსიძულვილის გარეშე. მაგრამ ვაი, რომ ამ იმპერიისგან მოწამლულნი ვართ ყველანი და ვერ განვთავისუფლდით ამ ჩვევისგან. საკმარისია ურთიერთის მიმართ გამოვთქვათ განსხვავებული აზრი, რომ მტრებად ვიქცევით. არ არის ეს ლამაზი. გამოთქვას სხვამ ჩვენს შესახებ ცუდი აზრი, გამოთქვას ცუდი შეხედულება - მოდი, ნუ გავუხდებით სასტიკ მტრად, ნუ დავუპირისპირდებით.

საქმით დავარწმუნოთ, რომ ის ცდება! მოდით, აი, ასე ვიდოდეთ ჩვენ ცხოვრებაში, მოდით, ნამდვილი „ჰაიდ პარკი“ შევქმნათ, სადაც თვით უკიდურესად მწვავე შეხედულებაც კი არ იქნება ჩვენთვის საწყენი - თუნდაც უარყოფითი შეხედულება. აი, ასე გაიმარჯვებს დემოკრატიის იდეალები საქართველოში. მე იმას არ ვამბობ, მეგობრებო, რომ ღალატი ვაპატიოთ ვინმეს, მაგრამ მოდით დავამკვიდროთ მეტი შემწყნარებლობა გამოთქმული აზრისადმი, მეტი ურთიერთგაგება. უნდა გვახსოვდეს, ადამიანი ზოგჯერ ცდება. ზოგჯერ ცდება უნებლიედ, ზოგჯერ ცდება ემოციებით და იმ წუთისთვის და იმ წამისთვის, როდესაც

მან უარყოფითი პოზიცია გამოავლინა ჩვენს მიმართ, მას ნუ შევიძულებთ, ეს ჩვენი დევიზი უნდა იყოს! და მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ ეროვნული მოძრაობის გამთლიანებას. მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ საქართველოს ერთ მთლიან მუშტად შეკვრას და იმპერიული ძალებისადმი დაპირისპირებას. სხვაგვარად არაფერი გამოგვივა.

ჩვენ არ გვაქვს უფლება პიროვნულ ემოციებს ავყვეთ. ჩვენ უნდა ავმაღლდეთ ყოველგვარ პიროვნულზე, პიროვნულ წყენაზე მაღლა, პიროვნულ წყენას და შეურაცხყოფას ვინც ვერ აპატიებს მოყვასს, იმას პოლიტიკაში და ეროვნულ მოძრაობაში ადგილი არა აქვს.

ჩვენს შორის აღვივებენ შუღლს. იმპერია ცდილობს ურთიერთშუღლისა და მტრობის მორევში ჩაგვახრჩოს. ეს ვერ უნდა შესძლოს მან! მას სურს, ამ გზით დაღუპოს ეროვნული მოძრაობა და საქართველო. ეს მან ვერ უნდა შეძლოს. ეს არის ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა და მიზანი. ჩვენ ჩვენი სამართლიანობა უნდა დავამტკიცოთ, ჩვენ არ გვინდა რამის გაყალბება, ჩვენ სამართლიანი არჩევნების მომხრენი ვართ.

ჩვენიანს უფრო მეტს მოვთხოვთ, უფრო მკაცრად, ვიდრე გარეშეს და ვიდრე მოწინააღმდეგეს. რადგან ჩვენიანს უფრო მეტი მოეთხოვება, რადგან თუ მან დადო თავი ეროვნული მოძრაობისათვის და ეროვნული საქმისათვის, კეთილი ინებოს და თავისი ვალი აღასრულოს პირნათლად და იყოს ყოველგვარი კრიტიკის გამძლე და ამავე დროს იყოს სრულყოფილი, სუფთა და თავდადებული.

ეს არის ჩვენი პრინციპი და იმასაც არ დავივიწყებთ, რომ ჩვენი უმთავრესი მიზანი არის საქართველოს რელიგიური და ეროვნული აღორძინება, ჭეშმარიტი ქრისტიანობა. ისტორიულად საქართველო მუდამ ამით იმარჯვებდა. დღესაც ამით გავიმარჯვეთ.

ზვიად გამსახურდია

საქართველოს ყოფნა-არყოფნა
(შობადობის პრობლემა)

წლების მანძილზე საქართველოს ოფიციალური პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა წერილები შვილოსნობის, ერის გამრავლების პრობლემებზე. მათ შორის მსურს გამოვყო გაზეთ კომუნისტის 1982 წლის 27 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „საქართველოს უკვდავება“ (გ. ფანჯიკიძე), „ლიტერატურული საქართველოს“ 1983 წლის სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული “იქმენინ მრავალ ძეობა“ (ლ.სანიკიძე) და დისკუსია „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე (1983 წ. 7 ივნისიდან).

ავტორები ცდილობენ გვესაუბრონ ჩვენი ძირითადი ეროვნული უბედურების — ქართული მოსახლეობის კლების გამომწვევ მიზეზებზე, მაგრამ ცენზურის მიერ დაჩეხილი მათი წერილები და გამოსვლები იოტისოდენადაც ვერ ჰფენენ ნათელს საქმის რეალურ ვითარებას. თანაც უნდა აღინიშნოს რომ, მათ წერილებში შეიმჩნევა ტენდენცია საქართველოს დემოგრაფიული სურათის შეცვლის ძირეული მიზეზების მიფუჩეჩებისა და მეორადი მიზეზების წინა პლანზე წამოწევა, ამიტომაც გადავწყვიტე შევახსენო მათაც და მკითხველ საზოგადოებასაც ზოგიერთი ჭეშმარიტება.

სიმართლე ფერ-უმარილს არ საჭიროებს და — ამიტომ თავიდანვე საქმეზე ვისაუბრებ. რამ განაპირობა ესოდენ კატასტროფული მგომარეობა ჩვენი ერის დღეს, ცივილიზებულ ეპოქაში, მეოცე საუკუნეში, მაშინ როდესაც სხვა ერები ეროვნულ-კულტურული და დემოგრაფიული აღორძინების გზაზე დგანან? ნუთუ ჩვენი ერის დაკნინების, შობადობის ესოდენ საგანგაშოდ შემცირების მიზეზები მარტოოდენ მეშჩანობასა და ჭამა-სმის კულტში უნდა ვეძებოთ, როგორც ამას აცხადებს „საქართველოს უკვდავების“ ავტორი (გ. ფანჯიკიძე) ან მხოლოდ „აბორტმახერების“ დაუსჯელობაში, როგორც ამას სთვლის „იქმენინ მრავალძეობის“ ავტორი (ლ.სანიკიძე)? ნუთუ ის ობივატელური სენი, რომელმაც თურმე ესოდენ დაგვრია ხელი, სხვა ერებს არ სჭირთ? რაღა ჩვენ მოგვითავა ხელი ამ სენმა? რაღა ჩვენ გაგვაპარტახა? მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ მეშჩანობა, ობივატელობა. <u>შედეგია</u> და არა მიზეზი.

„საქართველოს უკვდავების“ ავტორს (გ. ფანჯიკიძეს) კი შედეგები და მიზეზები ურთიერთში აღურევია და გაჰყვირის: სერვანტებზე და ავეჯზე მონადირე ხალხი აბა, როგორ გაამრავლებთ ერს! ოღონდაც! შეგნების გადაგვარება, საერთოდ, ყოველგვარი გადაგვარების წყაროა, მაგრამ რამ გადააგვარა ჩვენში ეროვნული შეგნება? რამ აუყარა ქართველ კაცს გული ეროვნულ და მოქალაქეობრივ იდეალებზე? მოდით, ვეძებოთ რეალური მიზეზები და მერმე ვისაუბროთ შედეგებზე და მათი დაძლევის შესაძლებლობებზე.

ამა თუ იმ ერის ფიზიკური არსებობა ოდითგანვე დამოკიდებული იყო ერის სულზე, მის ფსიქიკურ წყობაზე, მის ეროვნულ ცნობიერებაზე. მსოფლმხედველობა, სულიერი სამყარო განაპირობებს ერის სოციალურ, კულტურულ თუ ეკონომიურ ყოფას. როდესაც ერის სული და შეგნება კნინდება, მაშინ კნინდება მისი სახელმწიფოებრიობაც, მისი დემოგრაფიული სახეც; როდესაც ადამიანის სხეულს სტოვებს სული, იგი იწყებს გახრწნას. ასევეა ერი და საზოგადოება, ერის სული მაცოცხლებელია ეროვნული ორგანიზმისა, ჯანსაღი სულიერი ცხოვრება კი აღორძინებს მის სოციალურ და საზოგადოებრივ ყოფასაც.

რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი ერის სულიერი ცხოვრება? რამდენად ქმედითნი არიან დღეს ის სულიერი და ეროვნული იდეალები, რომლებიც ასულდგმულებდნენ ჩვენს წინაპრებს, აძლევდნენ სტიმულს ბრძოლისას და შემოქმედებისას, შთაუნერგავდნენ მომავლის იმედს ისტორიული ძნელბედობის პერიოდებში? ან რამდენად მღვიძარებს დღეს ერის სული? ან რამდენად ეზიარება დღეს ჩვენი ერის ყველა ფენა თავის კულტურის, აზროვნების, ლიტერატურის ტრადიციებს? რამდენად ცხოვრობს თავისი წინაპრების იდეალებით? უფრო მეტიც, რამდენად უწყის მან თავისი ეროვნული ვინაობა, სადაურობა, უწყის თუ არა მან თავისი ისტორია, თავისი სულიერი მდგომარეობა აწმყოში და წარსულში, ან თავისი მომავლის პერსპექტივები? ან რამდენად ქმედითია დღეს ჩვენში ზნეობრივი იდეალები ჩვენი წინაპრებისა? ან მათი მასულდგმულებელი რელიგიური იდეალები?

ან რამდენად გააჩნია არსებობის უფლება რელიგიას, რომელიც ეროვნული კონსოლიდაციის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა, და რომელმაც ისტორიის ამდენ ქარტეხილებს გადაარჩინა საქართველო?

ერის ჯანსაღი სულიერი და ზნეობრივი ცხოვრება ხომ რელიგიის გარეშე შეუძლებელია: ამას გვიმოწმებს ისტორიული და ფილოსოფიური მეცნიერება. რამდენად აქვს შეგნებული ეს ყოველივე ჩვენს ინტელიგენციას? (ე.წ. „ახალი რიტუალების“ დამკვიდრება ვერ შეცვლის რელიგიას თუნდაც მარტოოდენ ესთეტიური თვალსაზრისით. ისინი ვერასოდეს აღზრდიან ადამიანში ზნეობას და მოქალაქეობრიობას).

ერის ჯანსაღი საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველია აგრეთვე ახალგაზრდობის სწორი აღზრდა. მიკვირს, რად აუარეს გვერდი ზემოთხსენებული წერილების ავტორებმა ამ მეტად მნიშვნელოვან პრობლემას, იგი ხომ უშუალო კავშირშია ერის გამრავლების საკითხებთან? შესაძლებელია კი ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბება რელიგიური აღზრდის გარეშე? მსოფლიო პედაგოგიური მეცნიერების კორიფეები (კომენსკი, პესტალოცი [*J.H.Pestalozzi*], ჰერბარტი [*J.F.Herbart*] და სხვანი) უარყოფით პასუხს გვაძლევენ ამ კითხვაზე. ხოლო სრულყოფილი, ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბების გარეშე შეუძლებელია საზოგადოების აშენება. ესეც საყოველთაოდ აღიარებულია.

გადავხედოთ ჩვენს სკოლებს, სადაც მერვე, მეცხრე და მეათე კლასელი გოგონები სიგარეტს ეწევნ (ზოგჯერ ნარკოტიზირებულს), ბიჭებთან ერთად, ბილწსიტყვაობენ და კიდევ სხვა უმსგავსობას სჩადიან. წარმოვიდგინოთ პერსპექტივაში მათ მიერ შექმნილი ოჯახები, მათ მიერ აღზრდილი შვილები, მათ მიერ გახარებული დედ-მამა და სამშობლო, მათ მიერ გამრავლებული ერი. გადავხედოთ აგრეთვე პედპერსონალს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში სავსებით არ შეესაბამება პედაგოგის მაღალ დანიშნულებას. გადავხედოთ უმაღლეს სასწავლებლებს, სადაც კიდევ უფრო უნუგეშო სურათია კორუფციისა, პროტექციონიზმისა და სხვა მრავალ მანკიერებათა.

ის კატასტროფულად ფესვგადგმული ობივატელურ-მეშჩანური სენი კი, რომელიც ზემოხსენებულმა ავტორმა ესოდენ გონებამახვილურად დაგვისურათხატა, სწორედ სულიერი ცხოვრების ზემოთხსენებული დაცემითა და დაკნინებით არის გამოწვეული. <u>რელიგიური და ეროვნული შეგნების დაკნინებამ მოგვცა მხოლოდდამხოლოდ ჩაცმა-დახურვაზე, სმა-ჭამაზე, მაღაზიებზე, ვიდეოფილმებზე, გართობაზე და ფეხბურთზე მოსაუბრე საზოგადოება, რომელიც არას დაგიდევთ არც ერის ტკივილებს და არც მისი ყოფნა-არყოფნის საკითხებს</u>.

ნაწყვეტი ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებიდან „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“

პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკვათმყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგ. არის დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა. იმავ წამიდანვე, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა ჰაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე - საზრდოდ, ნანა - მოსასვენებლად.

ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმაწვილი იმ თავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთან ჰგრძნობდა, ვინც იმას ესაუბრება, ვინც გარშემო ახვევია, - ვისგანაც პირველ შთაბეჭდილებას ღებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობენ თუ მღერიან. თავის სოფლელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განმასხვავებელი საუბრის კილოც კი შვენიერებად მიაჩნია. თავისი სოფლელი, თუნდაც უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას, უცხო მხარეს რომ შეჰხვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულა და ბავშვობა გაუტარებია.

ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? - იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, - სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი. სამოწყალეო სახლში აღზრდილი ბუშიც კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა გამოუჩნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსამე ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს თავის სამშობლოდ... პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი.

კოსმოპილიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილ-გონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

1905 წელი

საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობის თავმჯდომარის, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრის, ბატონ ბესარიონ გუგუშვილის წიგნის „მკვლელობის დაკვეთის“ რედაქტორისაგან

დიდი შრომა გასწიე ემიგრაციული მთავრობის პრემიერ-მინისტრო და მარტო იყავი ბარაბას გზაზე მოსიარულეთა ათასეულების ცილისწამების მხილებაში! სრუ-ლიად დარწმუნებული ვარ შენი და ზოგადად სიმართლის გამარჯვებაში!

ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს რწმენაში სრულიად საქართველოს ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის იმედად. ქართველი კაცის სიმართლეში გახარების და მართლმადიდებლობაში გახარების იმედად!

შენს სიმართლეში თუ ერთი უბრალო ქართველის ხმაც შეიძლება როგორმე აისახოს და დაფიქსირდეს, ეს უაღრესად დიდი პატივი იქნებოდა ჩემთვის, ვინაი-დან ზვიადისეულად ქრისტეს გზით სირულის მოშურნედ გამოჩნდი.

ამ ნაშრომის შეფასებას მართალი მღვდლის (მღვდ. გიორგი სხილაძე) მართა-ლი სიტყვებით დავამთავრებ: „რა იყო ის მთავარი მიზეზი, რის გამოც მაცხოვარი ურწმუნო მღვდელმთავრებმა და მწიგნობრებმა სასიკვდილოდ გაიმეტეს? – მხილება. ,,ცხრა ნეტარებიდან“ ორი სწორედ მხილებით სიმართლეს შეეხება (მ.: 5,10-12): „ნეტარ არიან სიმართლისათვის (იგულისხმება: სიმართლის თქმისთვის – გ.ს.) დევნილნი, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი“; ,,ნეტარ ხართ თქვენ, როცა დაგიწყებენ გმობას, დევნას და ცრუმეტყველნი დაგწამებენ ყოველგვარ ბოროტს ჩემი გულისთვის. გიხაროდეთ და ილხენდეთ, ვინაიდან დიდია თქვენი საზღაური ზეცაში, რადგან ასევე სდევნიდნენ წინასწარმეტყველთაც“ გული-

დან ამოხეთქილი „მართლმადიდებელი პრეზიდენტი თავს არ მოიკლავდა“-თი დაეჭვებულ მამულიშვილებს.

მშვიდობა!

მამულიშვილთა ერთი ნაწილი დაეჭვებულ-დაკომპლექსებულია ზვიად გამსახურდიას მიერ მოყვასისასთვის თავგანწირვით და მისი საქციელი ქრისტიანობაში დასაგმობი თვითმკვლელო-ბის რანგში აჰყავთ. ამას ეშმაკურად იყენებენ ისევ ზვიად გამსახურდიას და ეროვნული, ლეგიტიმური ხელისუფლების უბოროტესი მტრები და მდევნელები. მათ შორის საქართველოს პუტჩისტი „პატრიარქი“ და **1991-1993** წლების სამხედრო პუტჩის შედეგად ხელისუფლების სათავეში უკანონოდ მოსული კრიმინალური ბანდების მეთაურნი ე. შევარდნაძიდან დაწყებული მ. სააკაშვილით დამთავრებული. იგივეს გაიმეორებს მომავალი მილიარდერის სავარაუდო კრიმინალური ბანდა! ეს ყველაფერი მათ ჭირდებათ იმისათვის, რომ მუდმივად ეჭვის ქვეშ იდგეს ემიგრაციული

მთავრობის ლეგიტიმური პრემიერ-მინისტრის კეთილსინდისიერება, ერთგულება და მამულიშვილობა! ამით სურთ დაასამარონ საერთაშორისო სატანისტურ შეთქმულებას სასწაულებ-რივად გადარჩენილი ლეგიტიმური ხელისუფლება!

ქართველ ერს დღესაც უკლავენ იმას, რაც დაგვიტოვა ზვიად გამსახურდიამ და ეროვნულმა ხელისუფლებამ. ამიტომ, ამ კომპლექსს უნდა დავუპირისპიროთ წმინდა სამოციქულო ეკლესიის მართლსწავლება ასეთი სიკვდილის შესახებ, რომელსაც ქვემოთ მოვიყვანთ. დღევანდელი სასულიერი იერარქია, რომელიც აშკარად მონაწილეობდა პუტჩში და კანონიერი ხელისუფლების მიტაცებაში, შეგნებულად დუმს ამ სწავლების შესახებ და ფარისევლურად, „მართლმადიდებელი პრე-ზიდენტი თავს არ მოიკლავდა“ ვარაუდით ცდილობს ხალხის დაეჭვება-დაკომპ-ლექსება-დაბრკოლებას. ე.ი. რადგან იციან ერის სურვილი ზვიად გამსახურდიას წმინდანად შერაცხვის შესახებ, ამისათვის მათი სწავლების მიხედვით მხოლოდ სხვის მიერ მოკლულია თურმე წმინდანობის ღირსი. „მკვლელობა“ კი რა თქმა უნდა ისევ ზვიად გამსახურდიასა და კანონიერი ხელისუფლების ერთგულ ხალხზე სურთ ჩამოწერონ! ეს არის მზაკვრული გეგმა, რომელიც სიცრუის მამამ დაუკვეთა ზვიად გამსახურდიას ნამდვილ მკვლელებს და ქართველის ერის ჯალათებს! იხ. ქვემოთ ამ კატეხიზმოს შესახებ!

„თუ ვინმეს ძალისმიერ გაუპატიურებას უპირებენ და შესაძლო მსხვერპლი იძულებით იკლავს თავს, ასეთს ეს ქმედება, რომელიც, ბუნებრივია იუდა ისკარიოტელივით უიმედობის გამო კი არ ჩაიდინა, არამედ სიბილწის თავიდან ასაცილებლად, ქალწულმოწამეობად ეთვლება; ასევე, თუ სამართლიან ომში, ბრძოლაში ან მსგავს შემთხვევაში ვინმე თავს აიფეთქებს ანუ მტერს თავს შეაკლავს საკუთარი ჯარის, ჯგუფის, მოყვასის გადასარჩენად, ან საკუთარი სხეულით გაუვნებელყოფს სხვების (ან სხვის) დასაღუპავად ასამოქმედებელ ნაღმს ან ჩაშლის ტერორისტულ აქტს, ან თავს იკლავს მოწინააღმდეგეთა ალყაში მოქცეული ისეთი პიროვნება, ვინც სახელმწიფო ან სხვა მნიშვნელოვან საიდუმლოს ფლობს და დატყვევების შემთხვევაში, მოსალოდნელია მისი გამჟღავნება და ეროვნული დონის, მასშტაბის საშიშროება თუ არა, სირცხვილი მაინც, – ასეთი, წმ. ათანასე ალექსანდრიელის გამოთქმები რომ ვიხმაროთ, ,,პატივის ღირსია და მათ სახელზე მათი სიმართლის მქადაგებელი ძეგლები აღიმართება“ (მისი ,,ეპისტოლე ამონ მონოზვნის მიმართ“). ასეთებმა, დიდი ალბათობაა, წმიდანობის მადლსაც კი მიაღწიონ, სიტყვისაებრ მაცხოვრისა: იმაზე დიდი სიყვარული არავისა აქვს, ვინც თავს დასდებს მეგობრისათვის.“ მღვდელი გიორგი სხილაძე

თუ ვინმე იტყვის რომ ზვიად გამსახურდიას „საპრეზიდენტო სავარძლით“ იმისათვის მისდევდნენ ისე, როგორც სისხლზე დაგეშილი მგლები, რომ საქართველოს მმართველობის სადავეები ჩაებარებინათ მაშინ რაღა გვეთქმის?! არ დაგავიწყდეთ, რომ ამ დროს პატრიარქმა საქართველოს კანონიერ მეთაურად კრიმინალი ედუარდ შევარდნაძე აკურთხა, ხოლო დევნილობიდან საქართველოში დაბრუნებული კანონიერი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია - ტერორისტად, ყაჩაღად და კრიმინალად გამოცხადდა!

„მართლმადიდებელი პრეზიდენტი თავს არ მოიკლავდა“ ვარაუდით პრეზიდე-ნტის ნამდვილი მკვლელები ახლა იმათ ხოცავენ, რომელებსაც ზვიად გამსახურ-დიამ საკუთარი თავგანწირვით სიცოცხლე შეუნარჩუნა! ნუთუ გეცოტავებათ ზვიად გამსახურდიას სიკვდილის შემდეგ, ამ ვარაუდით შეიარაღებული, კანონიერი ხე-ლისუფლების აშკარა მტრების მიერ სხვა და სხვა დროს და სხვადასხვა მიზეზით მოკლულ მამულიშვილთა რაოდენობა?!

საქართველოს რესპუბლიკის ემიგრაციული მთავრობის პირველი ვიცე-პრემიერი – იოსებ ღუდუშაური, ფინეთი/ჰელსინკი **09.11.2012**

„ისინი გვესვრიან ტყვიებს, ჩვენ კი ...



„... ჩვენ კი მათ ვესროლოთ ყვავილები!“ - შეუძლებელია, საქართველოში მცხოვრებ საშუალო და მეტი ხნის ადამიანს, არ ახსოვდეს ზვიად გამსახურდიას მიერ 1991 წლის შემოდგომით, მიტინგზე წარმოთქმული ეს სიტყვები. „ელიტარულმა იტელიგენციამ“ შეგნებულად, თუ შეუგნებლობით, ეს ფრაზა დაცინვის, ქილიკის საგნად აქცია. პრეზიდენტის, ეროვნული ხელისუფლების მომხრეებმა კი - მიიღეს როგორც ჭეშმარიტი მორწმუნის მიერ, ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულის გამოვლინება, თვით ქვეყნის დასაქცევად იარაღმომარჯვებული „ოპოზიციონერების“ მიმართაც კი. ეს არ იყო ლიტონი სიტყვები. ის ასე ცხოვრობდა. მას ღალატობდნენ, ცილს სწამებდნენ, მოსაკლავად იმეტებდნენ... და მაინც, მზად იყო ეპატიებინა, თუკი გულწრფელად მოინანიებდნენ. ამ მხრივ ის, როგორც მოაზროვნე, მორალისტი, ქრისტიანი უნიკალური მოვლენაა მსოფლიო პოლიტიკაში. ამიტომ უწოდებენ მას „მომავლის პოლიტიკოსს“, თუმცა ვეჭვობ ასეთი პატიოსანი პოლიტიკოსების დრო ოდესმე დადგეს. და მაინც...

ზვიად გამსახურდიას ფენომენი უნიკალურია საქართველოს ისტორიაში: ის არის ერთადერთი არახელისუფალი, რიგითი მოქალაქე, რომელიც სათავეში ჩაუდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ქვეყანა დამოუკიდებლობამდე მიიყვანა. გზა რომელიც ზვიად გამსახურდიამ დაგვისახა მისი პირადი მაგალითით, სავალდებულო უნდა იყოს ყველა მამულიშვილისათვის. უპირველესი აქ სწორედ სიყვარულია! სიყვარული ნებისმიერი ადამიანის მიმართ („გიყუარდეთ მტერი თქუენი...“), ეს უნდა იყოს ამოსავალი წერტილი ნებისმიერი ურთიერთობის, ნებისმიერი საქმის, მათ შორის პოლიტიკური საქმიანობისა. ჩვენ არ გამოგვადგება მაგალითად ის საყოველთაო სიძულვილის ატმოსფერო, რაც სუფევს საქართველოში ბოლო 25 წლის მანძილზე; ის ორმაგი სტანდარტები, ფარული გარიგებანი, „კეთილმეზობლური ზრახვებით“ თუ „დემოკრატიის ინტერესებით“, შენიღბული მზაკვრობანი, რითაც აპელირებს მსოფლიო პოლიტიკა. შეგვიძლია და ვალდებულნიც ვართ ვაჩვენოთ და გავაგებინოთ ყველას, „რომელ ასხედან ყურნი“, თუ როგორ შეიძლება, რომ პოლიტიკოსი იყოს გულწრფელი, პატიოსანი და სიყვარულით ემსახუროს თავის სამშობლოს! საქმე კი ბევრია და მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზოგადოებისთვის უახლესი ისტორიის შეხსენება, სწორი კუთხით წარმოჩენა, სრულ ბუნდოვანებაში მოხვედრილი მოსახლეობისთვის თვალის ახელა, ეროვნული სულისკვეთების აღორძინებაა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მიერ დაარსებული „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ სწორედ ამ მიზნებს ემსახურებოდა. ოღონდ ესაა: მაშინ, ეროვნული სულისკვეთების დათრგუნვა გადამთიელი ოკუპანტის მიერ, ძალადობით ხორციელდებოდა. დღეს კი, შექმნილია რა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ილუზია, მასმედიის, ამ უძლიერესი სააგიტაციო იარაღის, ნაირგვარი პოლიტიკური ორიენტაციის მქონე მოღვაწეთა, არასამთავრობო, თუ რელიგიური ორგანიზაციების მეშვეობით, ეროვნული მასშტაბის პრობლემები დაყვანილია ერთადერთ, „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის“ საკითხამდე, მაშინ, როდესაც დარღვეულია უმთავრესი: ერის სულიერი მთლიანობა. ურთიერთ-პატივისცემის, სიყვარულის დაბრუნების და ამ გზით სულიერი მთლიანობის აღდგენას უნდა ესწრაფვოდეს ერიც და ბერიც. ეს არის „ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინების“ ერთ-ერთი მთავარი მისია.

ნოდარ კიკნაძე

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ თავმჯდომარე

„მე ღარიბი ვარ, როგორც იესო. . .“

ეს ფრაზა გურამ დოჩანაშვილის ერთ გმირს ეკუთვნის. ქვეტექსტი ამ შესანიშნავი გამოთქმისა ძნელი გამოსაცნობი არ არის: მაცხოვარი არანაირ მატერიალურ ქონებას არ ფლობდა(„... ძესა კაცისა არსადა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს“), თუმცა სულიერი სიმდიდრე მისი უკიდეგანოა! სწორედ ამ გზით სიარულია ერთ-ერთი მოთხოვნა, ჭეშმარიტი ქრისტიანის მიმართ. ცხადია, უბრალო მოკვდავს სახლ-კარიც სჭირდება, საარსებო საშუალებანიც და „ამა ქვეყნის სიამენიც“, მაგრამ საუბარი უპირატეს ღირებულებებზეა. მოგეხსენებათ, რაოდენ დიდია ძალა მაგალითისა და ერიც უპირველეს ყოვლისა „ჩინებულთ“ მიაპყრობს მზერას. ხოლო „ესე ჩინებულნი“ ვაი რომ ვერ არიან კარგი რამ მაგალითის მიმცემნი ვერც ერნი და ვერც ბერნი. უპირველესად, შემზარავია ზოგიერთი საეკლესიო იერარქის ზღვარსგადასული მისწრაფება კეთილდღეობისაკენ; პრესა, რადიო, ტელევიზია უმეტესად, მატერიალურ სიმდიდრისკენ მისწრაფებას აღვივებენ ახალგაზრდებში და ამის ნიმუშად „ცნობად სახეებს“ წარმოგვიჩენენ. ლამის ლექსიკონიდან ამოშალონ სიტყვები: „სულიერება“, „უანგარობა“, „მორალი“, „ზნეობა“, „ღირსება“; ამ მხრივ ბადალი არ ჰყავთ ჩვენს პოლიტიკოსებს, რომელნიც პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: „სახელისუფლოებად“, რომელიც ლანძღავს ოპოზიციას; „ოპოზიციურებად“, რომელიც ლანძღავს ხელისუფლებას და „საშუალოებად“, რომელიც ლანძღავს ორივეს. ოდნავ დაკვირვებული თუ ხარ, ნებისმიერი მოვლენის, შემთხვევის გამო შეგიძლია ას პროცენტიანი სიზუსტით იწინასწარმეტყველო, რა განცხადებას, რა კომენტარს გააკეთებენ ერთნი, მეორენი, თუ მესამენი. მათი უდიდესი უმრავლესობისთვის, მთავარი მიზანი პოლიტიკური კარიერისა- პირადი ცხოვრების მოწყობაა. ამისთვის მზად არიან ნებისმიერ კულუალურ მოლაპარაკებაზე, შიდა, თუ გარე ძალასთან გარიგებაზე პრინციპით: „აქედან მე რას მივიღებ?“. ამ უზნეობის გამართლებისთვის კი მომარჯვებული აქვთ უნივერსალური ფორმულა: „პოლიტიკა ბინძური საქმეა“

. . . და მაგონდება: 1991 წელი. შემოდგომა. ჰაერში დენთის სუნი ტრიალებს. პრეზიდენტი ქათლ-კახეთში რამდენიმე მიტინგს ატარებს ძველებური, ჩვეული შემართებით. ერთმა მნიშნელოვანმა დეტალმა მიიქცია მაშინ ჩემი ყურადღება: ყველა ეს მიტინგი ზვიადმა ვაჟა-ფშაველას ლექსით დაამთავრა:

„რაც უნდა ჭირი მომკერძო,
ბილწთ არ შავეკვრი ზავითა,
მცნებას ვერ შამაცვლევინებ
მოზღვავებულის ავითა!“

იმ დიდი განსაცდელის ჟამს და შედგომშიც: გროზნიში ყოფნისას, თუ საქართველოში დაბრუნებისას, მას არაერთხელ, საიდუმლო მისიით ეწვივნენ სხვადასხვა წარმომადგენლობის, თუ წარმომავლობის ემისრები, ათასგვარი მაცდური წინადადებით. მით უფრო, რომ საქმე პირადად მის ფიზიკურ არსებობასაც კი ეხებოდა, მაგრამ „... ბილწთ არ შავეკვრი ზავითა!“- იყო მისი დევიზი.

ზვიადი და მერაბი! - უპირველეს ყოვლისა ეს ორი რაინდი უნდა იყოს მაგალითი მომავალი თაობისთვის. ამგვარი ზნეობრივი გმირები უნდა იყვნენ ახალგაზრდობის ორიენტირი, მაგრამ სადღაა მათი ხსენება? ის კი არა, ბოლო დროს გამოცემულ „საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულში, მარიკა ლორთქიფანიძის და მის თანამოაზრეთა მეცადინეობით, ზვიად გამსახურდია ლამის მოღალატედ, ხილო ედუარდ შევარდნაძე- უშიშარ გმირად არის წარმოჩინებული. ამგვარად ხდება ღირებულებათა წაღმა-უკუღმა ტრიალი, ერის უმთავრესი ინტერესების მიჩქმალვა და წინა პლანზე მეტად ბუნდოვანი „მსოფლიოს ახალი წესრიგის“ თუ ყოფითი პრობლემების წამოწევა.

ღმერთმა დაგვიფაროს, ამ ქვეყანაში მართალი, წესიერი ადამიანი აღარ დარჩეს: არიან, როგორ არ არიან, გინდ ერში და გინდ ბერში. მათი წყალობითაა, უფალი რომ არ წირავს ჩვენს ქვეყანას. ისინი, როგორც წესი, სიდუხჭირეში მყოფნი, ქვეყნის შიგნით, თუ მის ფარგლებს გარეთ, კვლავაც დგანან „ენის, მამულის და სარწმუნოების“ სამსახურში.

ამგვარი ერთგულების, თავდადების მაგალითია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინება“. მიუხდავად იმისა, რომ ორგანიზაციას არ გააჩნია ფინანსური მხარდაჭერა, ოფისი, მისთვის დახურულია მედია სივრცე, მისი ძველი, თუ ახალი წევრები, შეადგენენ რა ძირითად ნაწილს „საქართველოს კანონიერი, ემიგრაციული“ მთავრობისა, განუხრელად მიჰყვებიან იმ გზას, რომელიც დაუსახა „ჰელსინკის კავშირის“ დამაარსებელმა და მისმა პირველმა თავჯდომარემ, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ბატონმა ზვიად ამსახურდიამ.

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ჩემთვის უდიდესი პატივია თქვენს, ესოდენ ღირსეული მაულიშვილების გვერდით ყოფნა და თქვენთან ერთად სვლა „ეროვნულ-სარწმუნეობრივი მოძრაობის“ გზით!

ჩვენთან არს ღმერთი!

ნოდარ კიკნაძე-
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული
აღორძინების“თავმჯდომარე
2015 წ. 5 მარტი

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - - ეროვნული აღორძინება”

წესდება

I. ზოგადი დებულებები

1.1 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ‘საქართველოს ჰელსინკის კავშირი - - ეროვნული აღორძინება” (შემოკლებით ‘საქართველოს ჰელსინკის კავშირი"), შემდგომ ტექსტში - კავშირი, არის თანამოაზრეთა პოლიტიკური გაერთიანება, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზატონ ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოში 1976 წელს შექმნილი ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის ხელშემწყობი ჯგუფის, შემდგომ ‘საქართველოს ჰელსინკის კავშირისა” და მოგვიანებით მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნის შედეგად ჩამოყალიბებული ორგანიზაციის საქმიანობისა და ტრადიციების გამგრძელებელი. ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 1997 წლის 26 სექტემბრს (მოწმობა #0152) რეგისტრირებული ‘საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების” სამართალმემკვიდრე.

1.2 კავშირი მოქმედებს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

1.3 ‘საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება~ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აქვს საკუთარი სიმბოლიკა: გერბი (თეთრ ფონზე წითელი მოხაზულობით, დიდი წრით წარმოდგენილია დედამიწის პირობითი გამოსახულება, რომელიც გადაკვეთილია სამხაზიანი ჯვრით და რომლის ცენტრალურ ნაწილში, მცირე წრეში ჩასმულია შვიდქიმიანი ბორჯღალი), ჰიმნი (ტექსტი - ‘ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია”, ი. ჭავჭავაძე; მუსიკა - რ. ლაღიძე); დროშა (თეთრ ფონზე შუაში წითელი მოხაზულობის კავშირის სიმბოლიკის - გერბის გამოსახულებითა და კიდურა პერიმეტრზე წითელი მოხაზულობის სამწრფიანი ჩარჩო, დროშაზე არის ასევე ქართულ და ინგლისურ ენებზე კავშირის სრული დასახელების ყვითელი წარწერა); ბეჭედი, შტამპი, სამკერდე ნიშანი, ბლანკი კავშირის სიმბოლიკის გამოსახულებით და ანგარიში ბანკში.

1.4 კავშირის წესდებაში ცვლილებები და დამატებები წარედგინება იუსტიციის სამინისტროს კანონით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში.

1.5 კავშირის მიზანია საქართველოს სრული პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევის, საქართველოს ერთიანობის უზრუნველყოფის, განათლებული სამოქალაქო და სოციალური სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბების გზით საქართველოს ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინება, რეალურად დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული, უნიტარული სახელმწიფო წყობილების შექმნა და განმტკიცება, მისი შემდგომი ყოველმხრივი აღორძინება სახელმწიფო მართვაში მონაწილეობა კანონით დადგენილი წესით.

1.6 კავშირის საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებს წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა. კავშირი მიიჩნევს, რომ ამ პრინციპებიდან გამომდინარე ადამიანის ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება წარმოადგენს ადამიანის ღირსებების უზრუნველყოფის, მისი კანონიერი რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის საძირკველს. კავშირი აღიარებს ადამიანისა და საზოგადოების ღირებულებებს, გამოხატავს მოქალაქეთა ინტერესებს, დაფუძვნებულს სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური ჰარმონიის პრინციპებზე, ზნეობის პრიმატისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებით იცავს და ამკვიდრებს ეროვნული თვითმყოფადობის, დემოკრატიისა, სამართლებრივი სახელმწიფოსა და თვითმმართველობის იდეალებს.

1.7 კავშირი პატივს სცემს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს უჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას.

1.8 ‘საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებ”-ის ამოცანაა ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება. კავშირის საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებს აშკარად მივყევართ მომავლისაკენ, სადაც წარმატების კრიტერიუმი შრომა, ნიჭი და მსახურება იქნება, სადაც მთავარია: შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა და სოციალური სოლიდარობა. ეს იქნება ბურჯი, რომელსაც ქართული სახელმწიფო დაეფუძვნება.

1.9 კავშირი იბრძვის ადამიანის უფლებების დარღვევის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ, საქართველოს სახელისუფლებო კანონიერებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის, საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური კატასტროფის წინააღმდეგ, დემოგრაფიული ექსპანსიის შესაჩერებლად, ეროვნული თანხმობისა და ერთიანობისათვის.

1.10 კავშირი დადგენილი წესით მონაწილეობს სახელმწიფო მმართველობის პრობლემების გადაწყვეტაში, თავის რიგებში პატრიოტული და ინტელექტუალური ძალების გაერთიანებით ამუშავებს სახელმწიფოს სხვადასხვა სფეროში პროგრამებს, კონცეფციებს, ახდენს მათ რეალიზაციას სახელმწიფო და არჩევით ორგანოებში წარდგენის გზით. 1.11 კავშირის მიზანია, ასევე დღეისათვის აუცილებლობა იმისა, რათა ახალი საუკუნის ადამიანები გავათავისუფლოთ ე. წ. „ეკონომიკური ადამიანის" შეზღუდული მენტალური მოდელისაგან, რამეთუ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება თავის თავში მოიცავს გაცილებით მეტს, ვიდრე ეს ტექნიკურ-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტაა. იგი ძირითადად სოციალური, ფსიქოლოგიური, კულტურული და პოლიტიკური პრობლემაა.

1.12 კავშირის ფუძემდებლურ პრინციპებს წარმოადგენს ასევე ქვეყანაში ახალი ეკონომიკური რეფორმისტული პროგრამების შემუშავება და დანერგვა, როგორიცაა: ინსტიტუციონალური რეფორმა, მაკროეკონომიკურ სტაბილიზაცია, ფასების რეფორმა და საწარმოების პრივატიზაცია-რესტრუქტურიზაცია, ასევე ღია ეკონომიკის განვითარება, ფიზიკური და ადამიანური რესურსების აკუმულირება და ტექნოლოგიური განვითარება

1.13 კავშირის ამოცანაა ასევე გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში ე. წ. „გლოკალიზაციისა" და სხვა თავდაცვითი „საცრელი ფილტრების" - სპეციალური არეალების დაცვის მექანიზმების დანერგვა-განვითარება, რათა თავიდან იქნას აცილებული გლობალიზაციისაგან შესაძლო პოტენციური საშიშროება. ჩვენი ქვეყანა უნდა მოერგოს გლობალიზაციის პროცესს და იგი იყოს სასარგებლო და პროგრესული ჩვენი ქვეყნისათვის.

1.14 კავშირი იღვაწებს, რათა ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას: 21-ე საუკუნის ახალი ცოდნის საზოგადოება, ახალი ლიდერები; ახალი სამთავრობო პოლიტიკა; ახალი მსოფლიო ეკონომიკა: მიკროელექტროტექნიკა, კომპიუტერული ტექნიკა, ტელეკომუნიკაცია, ხელოვნური მასალები და ბიოტექნოლოგია; ახალი მართვის ხელოვნება, ქართული ინოვაციების სახეობები; ახალი რეგიონალური პოლიტიკა - ე. წ. „საბსიდიარობა" ანუ დეცენტრალიზაცია; სოციალური უსაფრთხოების ბადეები და ახალი სოციალური სექტორი.

1.17 კავშირი იწყებს ბრძოლას საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი სიძლიერისათვის, კრიმინალის, კორუფციის, სიღატაკის, უსამართლობის, გულგრილობის, უცოდინარობის, უსულგულობის დასამარცხებლად და მისი მთავარი მიზანია გამარჯვება, რომელიც ჩვენი შვილების მომავალს ეძღვნება.

1.18 კავშირი დასახული მიზნების მისაღწევად მჭიდროდ თანამშრომლობს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანიზაციებთან, პარტიებთან, გაერთიანებებთან, სახელმწიფო საელჩოებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, ცალკეულ მოქალაქეებთან, რომელთა საქმიანობა არ ეწინააღმდეგება კავშირის წესდებასა და პროგრამას.

1.19 კავშირი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ნორმებისა და მოცემული წესდების საფუძველზე.

1.20 კავშირი მხარს უჭერს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირების დასკვნით აქტებსა და მასალებს, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარგში მოქმედებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო საერთაშორისო დეკლარაციის მიზნების, დებულებებისა და პრინციპების შესაბამისად, პატივს სცემს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს უჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას.

1.21 კავშირის ბრძოლისა და მოქმედების ფორმები მშვიდობიანი და პოლიტიკური ხასიათისაა.

1.22 კავშირის დევიზია: „დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო და პიროვნების თავისუფლება".

1.23 კავშირში ფრაქციულობა დაუშვებელია.

1.24 კავშირის იურიდიული მისამართია: ქალაქი თბილისი, კეკელიძის ქუჩა № 10/
ქალაქი თბილისი, ქუჩა ბარნოვი № 71/ ქალაქი თბილისი, კეკელიძის ქუჩა № 10/12, სადარბაზო I, ბინა № 19ა, ტელეფონი (995)32 2223092, ელ-ფოსტა: e-mail: helsinkiunion@gmail.com

II. „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებაში" გაწევრიანება

2.1 კავშირში გაწევრიანება შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს, რომელთაც შეუსრულდათ 18 წელი და რომლებიც თავიანთ უმაღლეს პატრიოტულ მოვალეობად მიიჩნევენ ბრძოლას საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის, საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპების გამარჯვებისათვის, პატივს სცემენ ეროვნულ იდეალებს, იღწვიან ადამიანის უფლებების დასაცავად, იცნობენ და მხარს უჭერენ კავშირის წესდებასა და პროგრამას.

2.2 კავშირის წევრი არ შეიძლება იყოს სხვა პოლიტიკური პარტიის წევრი.

2.3 კავშირის წევრად მიღება ხდება საკუთარი განცხადების საფუძველზე რეგიონალური, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციის გამგეობის სხდომებზე ან პირველადი ორგანიზაციის კრებაზე კავშირის ორი წევრის, შესაბამისი გამგეობების, პრეზიდიუმის, კავშირის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის რეკომენდაციით და შესაბამისი იერარქიულ ორგანიზაციებში რეგისტრაციის გატარების შემდგომ მტკიცდება კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე.

2.4 კავშირში მისაღებმა წევრმა გარკვევით უნდა შეავსოს სპეციალური ფორმა - განცხადება და წევრის სააღრიცხვო ბარათი. აგრეთვე უნდა წარმოადგინოს 2 ფოტოსურათი ზომით 3x4-ზე. მიღებულ ფორმას ხელს აწერს კავშირის აპარატის ხელმძღვანელი და წევრად მიღების შემდგომ მტკიცდება კავშირის ბეჭდით.

2.5 მოქალაქე, რომელსაც რეკომენდაცია არა აქვს, კავშირში მიიღება გადამწყვეტი ხმის უფლების გარეშე (სათათბირო ხმის უფლებით), გამოსაცდელი სამი თვის ვადით, რომელმაც:

ა) აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს კავშირის ღონისძიებებსა და შესაბამისი სტრუქტურული რგოლების მუშაობაში.

ბ) ნამდვილ წევრად მიიღება იმ სტრუქტურული რგოლის რეკომენდაციით, სადაც იგი მუშაობდა.

2.6. კავშირი ვალდებულია დაიცვას მისი წევრის ინტერესები, როგორც კავშირში, ისე მის გარეთაც.

2.7. კავშირის წევრებს გადაეცემათ შესაბამისი მოწმობები და სამკერდე ნიშნები (კავშირის მოწმობისა და სამკერდე ნიშნების ნიმუშებს შეიმუშავებს პრეზიდიუმი და ამტკიცებს კავშირის ყრილობა).

III. კავშირის წევრი ვალდებულია

3.1 იბრძოლოს საქართველოს სრული პოლიტიკურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობის, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, სულიერ-კულტურული ტრადიციების აღორძინება-განმტკიცების, კანონიერებისა და სამართლიანობის დამკვიდრებისათვის.

3.2 დაიცვას ქართველი ერის უფლებები, იყოს მოყვასის თანამდგომი გაჭირვებაში.

3.3 დაიცვას თავისი პოლიტიკური ორგანიზაციის წევრთა კანონიერი უფლებები, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და პრინციპების გათვალისწინებით. იღვაწოს კავშირის ინტერესების, მისი სახელისა და ღირსების დასაცავად.

3.4 თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის წესით დაიცვას ეროვნულ და რელიგიურ თვითშეგნებაზე დაფუძნებული ზნეობრივი პრინციპები.

3.5 პატივი სცეს საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებს, რომლებიც ხელს უწყობენ საქართველოს დამოუკიდებლობას, მის ეროვნულ და რელიგიურ აღორძინებას და საჭიროებისას დაიცვას ისინი.

3.6 იმოქმედოს არაქართველი მოსახლეობის ეთნოკრატიების შექმნისა და მათი პრივილეგიების წინააღმდეგ.

3.7 დაიცვას ქართველი ერის უფლებები, ქართული მიწა-წყალი, ენა და კულტურა, იყოს ყოველი მოყვასის თანადგომი გაჭირვების ჟამს.

3.8 კავშირის წევრთა ოჯახებს საჭიროების შემთხვევაში, შეძლებისდაგვარად გაუწიოს მორალური და მატერიალური დახმარება.

3.9 დაიცვას კავშირის წესდება და პროგრამა, მოითხოვოს მისი დაცვა კავშირის სხვა წევრებისგანაც.

3.10 ყოველი დავალება შეასრულოს დროულად და პირნათლად.

3.11 იმუშაოს კავშირის რომელიმე სტრუქტურულ რგოლში, აუცილებლად უნდა იქნას დატვირთული გარკვეული დავალებით და გააჩნდეს განსაზღვრული ფუნქცია.

3.12 დროულად იხდიდეს საწევრო გადასახადს.

3.14 კავშირის სახელით მოქმედება შეთანხმებული უნდა იყოს პრეზიდიუმთან, კავშირის თავმჯდომარესთან ან თავმჯდომარის მოადგილესთან.

IV. კავშირის წევრის უფლება-მოსილებანი

4.1 დემოკრატიულ საფუძველზე აირჩიოს ან არჩეულ იქნას კავშირის ხელმძღვანელ და აღმასრულებელ ორგანოებში.

4.2 გამოთქვას იურიდიულად დასაბუთებული, კრიტიკული შენიშვნები როგორც კავშირის მუშაობის, ისე მისი ნებისმიერი წევრის მიმართ.

4.3 მიიღოს მონაწილეობა იმ კრებებისა ან სხდომების მუშაობაში, სადაც მისი პირადი საქმე იხილება.

4.4 წერილობით გააპროტესტოს მისდამი გამოტანილი გადაწყვეტილება.

4.5 მიმართოს კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებს.

4.6 მიიღოს განსაზღვრული ინფორმაცია კავშირის მუშაობის შესახებ.

4.7 ნებაყოფლობით გავიდეს კავშირიდან, რის შესახებაც წერილობით წინასწარ უნდა აცნობოს ან გააკეთოს ზეპირი განცხადება რეგიონალური, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციის გამგეობის ან პირველადი ორგანიზაციის კრებაზე ან პრეზიდიუმის სხდომაზე.

V. კავშირის სტრუქტურული აგებულება

5.1 „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინებ“-ის უმაღლესი ორგანოა ყრილობა, რომელიც პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მოიწვევა ოთხ წელიწადში ერთხელ.

5.2 საგანგებო შემთხვევაში შეიძლება მოწვეულ იქნას რიგგარეშეც:

ა) პრეზიდიუმის მინიმუმ ოთხი წევრის მოთხოვნით;

ბ) თავმჯდომარის (ან თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის) მოთხოვნით;

გ) კავშირის წევრთა საერთო სიითი რაოდენობის ორი მესამედის მოთხოვნით.

აღნიშნული მოთხოვნები უნდა შესრულდეს ერთი თვის ვადაში.

5.3 ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება რეგიონალურ კონფერენციებზე არჩეულ დელეგატთა ორი მესამედი.

5.4 ყრილობა განიხილავს:

ა) კავშირის წესდებასა და პროგრამას, საჭიროების შემთხვევაში შეაქვს მასში ცვლილებები, დამატებები და ამტკიცებს მათ;

ბ) ისმენს კავშირის თავმჯდომარის, მისი მოადგილის, პრეზიდიუმის, კავშირის საკონტროლო-სარევიზიო კომისიის ანგარიშებს და ამლევს მათ შეფასებას;

გ) საქართველოს წინაშე მდგომ პრობლემებს და სახავს შემდგომი მოქმედების მიმართულებას;

დ) კავშირის საქმიანობასთან დაკავშირებულ საჭირბოროტო საკითხებს;

ე) კავშირის რეორგანიზაციის ან თვითლიკვიდაციის საკითხებს.

5.5 ყრილობა ირჩევს:

ა) კავშირის პრეზიდიუმს შვიდი წევრის შემადგენლობით, კავშირის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის ჩათვლით ოთხი წლის ვადით;

ბ) კავშირის თავმჯდომარესა და მის მოადგილეს ოთხი წლის ვადით;

გ) კავშირის საპატიო წევრებს;

დ) კავშირის საკონტროლო-სარევიზიო კომისიას არანაკლებ ხუთი წევრისა, კომისიის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის ჩათვლით ოთხი წლის ვადით.

5.6 ყრილობის სამუშაო დღის წესრიგს ამტკიცებს ყრილობა.

5.7 ყრილობა გადაწყვეტილებას ღებულობს დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით (გარდა კავშირის თვითლიკვიდაციის საკითხისა).

5.8 არჩევნები ეწყობა დემოკრატიული პრინციპით, ფარული კენჭისყრით, საგანგებო შემთხვევაში შესაძლებელია ღია კენჭისყრის ჩატარებაც.

5.9 კავშირის ორგანიზაციული სტრუქტურა:

ცენტრალური მმართველი და ხელმძღვანელი ორგანოებია:

ა) ყრილობა;

ბ) პრეზიდიუმი (გამგეობა).

გ) ქ. თბილისის ორგანიზაცია და რეგიონალური ორგანიზაციები (კონფერენცია, გამგეობა), რომლებსაც სტატუსს ანიჭებს კავშირის პრეზიდიუმი;

დ)) საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები (კონფერენცია, გამგეობა);

ე) პირველადი ორგანიზაციები (კრება, გამგეობა);

5.10 კავშირის შიდა სამუშაო ორგანოებია:

ა) კავშირის დარბაზი (დარგობრივი საბჭო);

ბ) კავშირის ფონდი;

გ) კავშირის კომუნიკაციების დეპარტამენტი;

დ) იურიდიული დეპარტამენტი;

ე) კავშირის რეგიონალური დეპარტამენტი;

ვ) კავშირის საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი;

ზ) კავშირის აპარატი;

თ) დეპუტატთა კორპუსი;

ი) კავშირის საარჩევნო შტაბი;

კ) საორგანიზაციო სამსახური ;

საარჩევნო კამპანიის დროს, საარჩევნო შტაბის სამუშაო რგოლებს არსებითად (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა - საკითხს სწყვეტს კავშირის პრეზიდიუმი) წარმოადგენს კავშირის ზემოთ ჩამოთლილი სამუშაო ორგანოები.

5.11 კავშირის ხელმძღვანელი პირებია:

ა) კავშირის თავმდომარე;

ბ) კავშირის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) კავშირის პრეზიდიუმის წევრები;

დ) რეგიონალური ორგანიზაციების, ქ. თბილისის ორგანიზაციის, საქალაქო, რაიონული და პირველადი ორგანიზაციების გამგეობის თავმჯდომარეები;

ე) კავშირის სამუშაო ორგანოთა და მათი სტრუქტურული რგოლების ხელმძღვანელები.

5.12 კავშირის მაკონტროლებელი ორგანოა საკონტროლო-სარევიზიო კომისია.

VI. კავშირის პრეზიდიუმი (გამგეობა)

6.1 კავშირის პრეზიდიუმი (გამგეობა) შემდგომ ტექსტში – პრეზიდიუმი, არის კავშირის მუდმივმოქმედი აღმასრულებელი ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც ყრილობებს შორის პერიოდში ოპერატიულად უზრუნველყოფს კავშირის საწესდებო და საპროგრამო მიზნების განხორციელებას.

6.2 პრეზიდიუმი (შვიდი წევრი), კავშირის თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის ჩათვლით, აირჩევა ოთხ წელიწადში ერთხელ.

6.3 პრეზიდიუმი ანგარიშვალდებულია ყრილობის წინაშე.

6.4 პრეზიდიუმის სამუშაო ორგანოა სხდომა, რომელიც შეიძლება მოწვეულ იქნას თვეში ორჯერ, სხდომებს ამზადებს კავშირის მდივანი და უძღვება კავშირის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოადგილე.

6.5 პრეზიდიუმის სხდომაზე უცხო პირის დასწრება შესაძლებელია პრეზიდიუმის ან სხდომის თავმჯდომარის თანხმობით.

6.6 პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის ოთხი წევრი მაინც.

6.7 პრეზიდიუმი გადაწყვეტილებას იღებს პრეზიდიუმის საერთო სიითი რაოდენობის ხმათა უბრალო უმრავლესობით.

6.8 კავშირის პრეზიდიუმის ფუნქციები:

ა) უზრუნველყოფს კავშირის წევრთა მიერ წესდებისა და პროგრამის განხორციელებას, კონტროლს უწევს დისციპლინარულ საკითხებს;

ბ) წესდებისა და პროგრამის გათვალისწინებით ამყარებს კავშირს, თანამშრომლობს სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ თუ არასამთავრობო, საერთაშორისო, ახალგაზრდულ, პროფკავშირულ და სხვა ორგანიზაციებთან;

გ) კავშირის თავმჯდომარესთან შეთანხმებით განაგებს კავშირის ფულად სახსრებსა და ქონებას;

დ) ხელმძღვანელობს და აკონტროლებს კავშირის სტრუქტურული დანაყოფებისა და სამუშაო ორგანოების საქმიანობას, ამტკიცებს მათ შექმნასა თუ გაუქმებას;

ე) წარმართავს კავშირის შიდაორგანიზაციულ საქმიანობას;

ზ) ამტკიცებს კავშირის სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელებსა და კავშირის მდივანს;

თ) პრეზიდიუმის სხდომაზე ისმენენ პრეზიდიუმის წევრებისა და საჭიროებისამებრ სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების ანგარიშებს და ეძლევა შეფასება ჩატარებულ სამუშაოს;

ი) წარმართავს სააგიტაციო-პროპაგანდისტულ საქმიანობას;

კ) ხელმძღვანელობს კავშირის პოლიტიკურ საქმიანობას;

ლ) იღებს და ავრცელებს პოლიტიკურ დოკუმენტებს;

მ) ხელმძღვანელობს კავშირის საარჩევნო კამპანიას;

ნ) ამტკიცებს წევრთა მიღებას, წევრობის შეჩერებას, წევრის კავშირიდან გაყვანას და გარიცხვას;

ო) ყრილობაზე წარსადგენად ადგენს კავშირის საპატიო წევრთა სიას;

პ) იწვევს და ატარებს კავშირის ყრილობას.

ჟ) ამტკიცებს საინფორმაციო საშუალებებში კავშირის სახელით გასაშვებ ინფორმაციას;

რ) ატარებს კავშირის პრესკონფერენციებს;

ს) ატარებს კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომებს;

ტ) წინადადებებით მიმართავს კავშირის საკონტროლო – სარევიზიო კომისიას კავშირის ცალკეული საქმიანობის შემოწმების თაობაზე და ისმენს მათ ანგარიშს.

ე) უფლებამოსილია შექმნას დროებითი კომისია (კომისიები) და სათათბიროდ _ უხუცესთა საბჭო.

6.9 კავშირის პრეზიდიუმის თითოეული წევრი პრეზიდიუმის დავალებით ხელმძღვანელობს ან კურირებს კავშირის რომელიმე სტრუქტურულ რგოლს: კავშირის დარბაზს, კავშირის ფონდს, კავშირის კომუნიკაციების დეპარტამენტს, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კომიტეტს, კავშირის რეგიონალურ დეპარტამენტს, თბილისის ორგანიზაციას, ასევე საინფორმაციო-ანალიტიკურ ცენტრს, კავშირის აპარატს, იურიდიულ დეპარტამენტს, საორგანიზაციო სამსახურს და სხვა მუდმივ თუ დროებით სამუშაო ორგანოებს.

6.10 პრეზიდიუმის წევრი კავშირთან დაკავშირებულ თავის საქმიანობაზე ან განცხადებაზე, რომელიც არ არის შეთანხმებული კავშირის თავმჯდომარესთან, მის მოადგილესთან ან პრეზიდიუმთან, პიროვნულად აგებს პასუხს.

6.11 წესდების დარღვევის, დავალების შეუსრულებლობის, ხშირი გაცდენის, ეთნიკური ნორმების დარღვევის შემთხვევაში ან კავშირის სახელგამტეხი ქმედებისათვის პრეზიდიუმის წევრის პრეზიდიუმის წევრობიდან გაყვანის თაობაზე, კავშირის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის მოთხოვნითა და პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, განიხილება ყრილობაზე (ან საგანგებო ყრილობაზე).

6.12 ვადაზე ადრე, ყრილობებს შორის პრეზიდიუმის მინიმუმ სამი წევრის ან პრეზიდიუმის სრული შემადგენლობის გადარჩევის უფლება აქვს საგანგებო ყრილობას.

6.13 პრეზიდიუმი 3 თვეში ერთხელ ატარებს პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომას, რომელსაც პრეზიდიუმის წევრთა გარდა ესწრებიან, სტრუქტურული ქვედანაყოფების გამგეობის თავმჯდომარეები, შიდა სამუშაო რგოლების ხელმძღვანელები, კავშირის საკონტროლო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, საინფორმაციო -ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელი, კავშირის აპარატის ხელმძღვანელი და სხვა შიდა სამუშაო რგოლების ხელმძღვანელები, დაინტერესებული და მოწვეული პირები.

6.15 პრეზიდიუმის სხდომები ფორმდება ოქმით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იქნას სხდომის თავმჯდომარისა და მდივნის მიერ. სხდომის ოქმები ინახება კავშირის აპარატის საერთო საქმეთა განყოფილებაში, ხოლო რეგლამენტს ადგენს და ამტკიცებს კავშირის პრეზიდიუმი.

VII. კავშირის თავმჯდომარე

7.1 კავშირის თავმჯდომარე (პრეზიდიუმის თავმჯდომარე):

ა) ანაწილებს პრეზიდიუმის წევრთა ფუნქციონალურ დატვირთვებს, რომელსაც ამტკიცებს პრეზიდიუმი;

ბ) უძღვება და თავმჯდომარეობს პრეზიდიუმის სხდომებს;

გ) პრეზიდიუმთან შეთანხმებით ამტკიცებს თავმჯდომარის მოადგილის რეზოლუციით პრეზიდიუმის შესაბამისი ფუნქციის მქონე წევრთა წარდგენილ, კავშირის დარბაზის, კავშირის ფონდის, კომუნიკაციების დეპარტამენტის, იურიდიული დეპარტამენტის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კომიტეტის, რეგიონალური დეპარტამენტის, საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის, კავშირის აპარატის, საორგანიზაციო სამსახურის, საკონტროლო-სარევიზიო კომისიის და სხვა სტრუქტურულ რგოლთა დებულებებს, სტრუქტურას, რეგლამენტსა და სამუშაო გეგმებს;

დ) სამ თვეში ერთხელ მოახსენებს პრეზიდიუმს განვლილი ეტაპის შედეგებს და სახავს ახალ ამოცანებს;

ე) უფლებამოსილია შექმნას დროებითი კომისია (კომისიები);

ვ) უფლებამოსილია დააყენოს საკითხი პრეზიდიუმის წევრის, კავშირის რომელიმე სტრუქტურული რგოლის ხელმძღვანელის, მდივნის, რიგითი წევრის უფლება-მოვალეობისაგან გათავისუფლების, წევრობის შეჩერების ან კავშირიდან გარიცხვა-გაყვანის საკითხი, რომელსაც ამტკიცებს კავშირის პრეზიდიუმი;

ზ) უფლებამოსილია გარკვეული დავალებით მიავლინოს კავშირის ნებისმიერი წევრი;

თ) პრეზიდიუმს დასამტკიცებლად წარუდგენს კავშირსგარეთა პოლიტიკურ ბლოკებში, გაერთიანებებში, ალიანსებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში განსაზღვრული დავალებით გასაგზავნ კავშირის წევრებს;

ი) პრეზიდიუმთან შეთანხმებით კავშირის სახელით აკეთებს განცხადებებს, მონაწილეობს სხვადასხვა მოლაპარაკებებსა და ღონისძიებებში.

კ) საჭიროებისამებრ აძლევს დამატებით განსაზღვრულ უფლებამოსილებას პრეზიდიუმის ნებისმიერ წევრს პრეზიდიუმთან შეთანხმებით.

7.3 თავმჯდომარე პრეზიდიუმის სხდომაზე ხმების თანაბარი გაყოფის შემთხვევაში უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება.

7.4 საპატიო მიზეზით პრეზიდიუმის სხდომის, კონფერენციის, ყრილობის, კავშირის სხვა ნებისმიერი ღონისძიების გაცდენის შემთხვევაში თავის უფლებამოსილებას კავშირის თავმჯდომარე დროებით გადასცემს თავმჯდომარის მოადგილეს.

VIII. კავშირის თავმჯდომარის მოადგილე

8.1 კავშირის თავმჯდომარის მოადგილე:

ა) განიხილავს და რეზოლუციას ადებს პრეზიდიუმის შესაბამისი ფუნქციის მქონე წევრთა მიერ წარმოდგენილ კავშირის დარბაზის, კავშირის ფონდის, კომუნიკაციების დეპარტამენტის, იურიდიული დეპარტამენტის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კომიტეტის, რეგიონალური დეპარტამენტის, საინფორმაციო-ანალიტიკური

ცენტრის, კავშირის აპარატის, საორგანიზაციო სამსახურის, საკონტროლო-სარევიზიო კომისიის და სხვა სტრუქტურულ რგოლთა დებულებებს, სტრუქტურას, რეგლამენტს და სამუშაო გეგმებს;

ბ) კავშირის თავმჯდომარესთან შეთანხმებით უშუალოდ კოორდინაციას უწევს ნებისმიერ სტრუქტურულ რგოლს და მთლიანად კავშირის საქმიანობას.

ამ ფუნქციების განხორციელებისათვის კავშირის თავმჯდომარის მოადგილესთან არსებობს საორგანიზაციო სამსახური.

გ) კავშირის თავმჯდომარესთან შეთანხმებით უფლებამოსილია შექმნას დროებითი კომისია (კომისიები);

დ) უფლებამოსილია კავშირის თავმჯდომარესთან შეთანხმებით დააყენოს საკითხი პრეზიდიუმის წევრის, კავშირის რომელიმე სტრუქტურული რგოლის ხელმძღვანელის, მდივნის, რიგითი წევრის უფლებამოვალეობისაგან გათავისუფლების, წევრობის შეჩერების ან კავშირიდან გარიცხვა-გაყვანის საკითხი, რომელსაც ამტკიცებს პრეზიდიუმი;

ე) კავშირის თავმჯდომარესთან ან პრეზიდიუმთან შეთანხმებით კავშირის სახელით აკეთებს განცხადებებს, მონაწილეობს სხვადასხვა მოლაპარაკებებსა და ღონისძიებებში;

8.2 კავშირის თავმდომარის მოადგილე, თავმჯდომარის უშუალო განკარგულებებითა და მასთან შეთანხმებულად, განაგებს კავშირის სტრუქტურულ რგოლთა შეჯერებულ მუშაობას, კავშირის რგოლებს შორის ჰორიზონტალურ კოორდინაციას:

1) კავშირის ჰორიზონტალურ სიბრტყეში კოორდინაცია ხორციელდება ინფორმაციის ურთიერთგაცვლით;
2) კავშირის ჰორიზონტალურ სიბრტყეში არსებობს მომიჯნავე და არამომიჯნავე რგოლები;
3) როდესაც, წესდების მიხედვით, ერთი და იმავე თემას და მოვლენას კავშირის ორი რგოლი სხვადასხვა რაკურსით ეხება, ეს რგოლები წარმოადგენენ მომიჯნავე რგოლებს;
4) მომიჯნავე რგოლებს შორის ინფორმაციის გაცვლა მოიცავს: რეკომენდაციებს, ურთიერთკონსულტაციებს და საკითხთა შეჯერებებს;
5) არამომიჯნავე რგოლებს შორის ინფორმაციის გაცვლა მოიცავს მხოლოდ რეკომენდაციებს;
6) მომიჯნავე რგოლების ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან, ინფორმაციის გაცვლის მიზნით, იქონიონ ერთმანეთთან მუდმივი და მობილური კავშირი;

7) საჭიროების შემთხვევაში, კავშირის თავმჯდომარის მოადგილის კორდინაციითა და კურირებით, მომიჯნავე რგოლების ხელმძღვანელებს, ერთმანეთთან შეთანხმებით, ურთიერთკონსულტირებისთვის და საკითხთა შეჯერებისთვის, შეუძლიათ ერთჯერადი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის დანიშვნა.

კავშირის მომიჯნავე რგოლებია:

1) საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი, იურიდიული დეპარტამენტი და კომუნიკაციების დეპარტამენტი;
2) კომუნიკაციების დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი და დარბაზი;
3) საორგანიზაციო სამსახური და რეგიონალური დეპარტამენტი (თბილისის ორგანიზაცია);
4) იურიდიული დეპარტამენტი და რეგიონალური დეპარტამენტი (თბილისის ორგანიზაცია);
5) იურიდიული დეპარტამენტი და კავშირის ფონდი.
6) რეგიონალური დეპარტამენტი და კავშირის ფონდი.

8.3 კავშირის თავმჯდომარის არყოფნის (ან არაქმედითუნარიანობის დროს, რომელსაც ადგენს პრეზიდიუმი) შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს კავშირის თავმჯდომარის უფლება-მოვალეობას.

8.4 კავშირის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის არყოფნისას, კავშირის თავმჯდომარესთან შეთანხმებით (ან თავმჯდომარის არაქმედითუნარიანობის დროს, რომელსაც ადგენს პრეზიდიუმი, თავმჯდომარის მოადგილესთან შეთანხმებით), დროებით პრეზიდიუმის თავმჯდომარის უფლება-მოვალეობას, ასრულებს პრეზიდუმის მიერ არჩეული პრეზიდიუმის წევრი.

8.5 თავმჯდომარის მოადგილე თავისი გადადგომის შემთხვევაში განცხადებას აკეთებს პრეზიდიუმის სხდომაზე ან ატყობინებს პრეზიდუმს წერილობითი ფორმით.

IX. კავშირის მდივანი

9.1 კავშირის მდივანი:

ა) ესწრება კავშირის პრეზიდიუმის ყველა სხდომას, ყრილობას და სხვა მის შეკრებებს, აგვარებს ამ შეკრებებთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს ;

ბ) აწარმოებს საოქმო ჩანაწერებს, რომელსაც პრეზიდიუმის სხდომის თავმჯდომარესთან ერთად ადასტურებს ხელმოწერით ;

გ) პრეზიდიუმის სხდომის დასაწყისში აფიქსირებს წინა სხდომაზე ოქმით მიღებული გადაწყვეტილებების დასახული ვადის შესაბამისად შესრულების შედეგებს;

დ) პრეზიდიუმის სხდომის დამთავრებისთანავე საოქმო ჩანაწერს აცნობს პრეზიდიუმს;

ე) აწარმოებს ყველა დოკუმენტაციის რეგისტრაციას და უზრუნველყოფს მათ შენახვას კავშირის აპარატის საერთო საქმეთა განყოფილებაში. კავშირის მდივანმა შესაძლებელია თვითონვე უხელმძღვანელოს კავშირის აპარატს პრეზიდიუმის გადაწყვეტილების თანახმად. დოკუმენტაციებზე მუშაობის დებულება მტკიცდება კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე.

9.2 კავშირის მდივანს ეკრძალება დოკუმენტაციის შინაარსის გავრცელება კავშირის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის ნებართვის გარეშე.

9.3 კავშირის მდივნის დამტკიცება ან გათავისუფლება ხდება პრეზიდიუმის სხდომაზე თავმჯდომარის წარდგინებით.

9.4 საპატიო მიზეზით სხდომის გაცდენისას მდივანი, კავშირის აპარატის სამდივნო განყოფილებიდან, კავშირის თავმჯდომარესთან ან მის მოადგილესთან შეთანხმებით, უზრუნველყოფს თავისი შემცვლელის ყოფნას სხდომაზე.

X. კავშირის სტრუქტურული ქვედანაყოფები (რეგიონალური, საქალაქო, რაიონული და პირველადი ორგანიზაციები)

10.1 საქართველოს ტერიტორიაზე კავშირს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის პრინციპით აქვს რეგიონალური, საქალაქო, რაიონული და პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც იქმნებიან კავშირის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით და საქმიანობას წარმართავენ კავშირის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად

10.2 კავშირის პირველადი რგოლები იქმნება სოფელში, დაბაში, დასახლებაში და თავის რიგებში უნდა აერთიანებდეს არანაკლებ 10 წევრს, წინააღმდეგ შემთხვევაში წევრები ფიქსირდებიან რაიონულ ორგანიზაციებში.

10.3 კავშირის პირველადი ორგანიზაციები ჰქმნიან და ექვემდებარებიან რაიონულ ან საქალაქო ორგანიზაციას, რომლებიც იქმნება რაიონული დაქვემდებარების ან რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქში.

10.4 კავშირის რაიონული ორგანიზაციები იქმნებიან აგრეთვე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში (მაგ : ბათუმი, ფოთი, რუსთავი, ქუთაისი და სხვა) და ჰქმნიან საქალაქო ორგანიზაციას.

10.5 რეგიონალური ორგანიზაციები იქმნება ტერიტორიული შენაერთის პრინციპით, რომლის საქმიანობა ვრცელდება რამდენიმე რაიონის მასშტაბით. რეგიონალურ ორგანიზაციაში ზემოთაღნიშნული პრინციპით ერთიანდებიან

საქალაქო, რაიონული ორგანიზაციები და რეგიონალურ ცენტრად ირჩევენ ამ რეგიონის რესპუბლიკური მნიშვნელობის ან რაიონული დაქვემდებარების ქალაქს. განთავსების საკითხს სწყვეტს კავშირის პრეზიდიუმი.

10.6 შესაძლებელია რამდენიმე რეგიონალური ორგანიზაციის გაერთიანებული ორგანოს შექმნაც. გაერთიანების საკითხს სწყვეტს კავშირის პრეზიდიუმი.

10.7 ქ. თბილისის საქალაქო ორგანიაზაციის წევრები თავიანთი ფუნქციონალური დატვირთვით წარმოადგენენ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებ"-ის ცენტრალური, ხელმძღვანელი და მაკოორდინირებელი სამუშაო ორგანოების ძირითად საბაზისო შემადგენლობას. ქ. თბილისის ორგანიზაციაში გაერთიანებულნი არიან თბილისის რაიონული და პირველადი ორგანიზაციები. ქ. თბილისის ორგანიაზაციის სტატუსს, სტრუქტურასა და დებულებას ამტკიცებს კავშირის პრეზიდიუმი.

10.8 კავშირის რეგიონალური ორგანიზაციების შინაგანი სტრუქტურები ანალოგიურია კავშირის ზოგადი სტრუქტურისა, მაგრამ ხასიათდებიან ინდივიდუალიზმითაც, რასაც ამტკიცებს კავშირის პრეზიდიუმი.

10.9 კავშირის პირველადი, რაიონული, საქალაქო, რეგიონალური ორგანიზაციების დაფუძნებაში უნდა მონაწილეობდნენ კავშირის თავმჯდომარის მიერ სპეციალურად მივლინებული შესაბამისი ფუნქციის პრეზიდიუმის წევრი (წევრები), რეგიონალური დეპარტამენტის თავმჯდომარე, შესაბამისი რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე ან შესაბამისი დავალებით მივლინებული პარტიის სხვა ხელმძღვანელი პირები.

10.10 კავშირის თბილისის ორგანიზაციის, რეგიონალური, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების უმაღლესი მმართველი ორგანოა კონფერენცია, პირველადი ორგანიზაციებისათვის - კრება.

10.11 კავშირის თბილისის ორგანიზაციის, რეგიონალური, საქალაქო, რაიონული კონფერენციები და პირველადი ორგანიზაციების კრებები შეიძლება მოწვეულ იქნას არაუმეტეს ორ წელიწადში ერთხელ. კონფერენცია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატთა 2/3, პირველადი ორგანიზაციისათვის კრებას უნდა ესწრებოდეს ამ რგოლის წევრთა 2/3.

10.12 რეგიონალური, საქალაქო, რაიონული საგანგებო კონფერენციები და პირველადი ორგანიზაციების კრებები შეიძლება მოწვეულ იქნას შესაბამისი გამგეობის წევრთა 2/3-ის, ან ამ ორგანიაზაციების წევრთა სიითი რაოდენობის 2/3-ის მოთხოვნით, ასევე კავშირის თავჯდომარისა და პრეზიდიუმის მოთხოვნით. მოთხოვნა უნდა შესრულდეს ერთი თვის ვადაში.

10.13 პირველადი (კრებაზე), რაიონული, საქალაქო და რეგიონალური ორგანიზაციების კონფერენციებზე ირჩევენ თავიანთ გამგეობას. ასევე დელეგატებს შესაბამისი მაღალი რანგის კონფერენციებისათვის, ყრილობისათვის და ორგანიზაციების საკონტროლო-სარევიზიო კომისიებს.

ა) კავშირის ყრილობის დელეგატთა რიცხვი განისაზღვრება შეფარდებით 1:3-ზე (ყოველი 3 წევრიდან 1 დელეგატი).

ბ) რეგიონალური ორგანიზაციების კონფერენციებისთვის დელეგატთა რიცხვი განისაზღვრება შეფარდებით 1:2-ზე.

გ) საქალაქო და რაიონული კონფერენციის დელეგატთა რიცხვი განისაზღვრება შეფარდებით 1:1-ზე.

10.14 კავშირის პირველადი, რაიონული, საქალაქო და რეგიონალური ორგანიზაციები თავიანთ ტერიტორიაზე ხელმძღვანელობენ კავშირის პროგრამის, ყრილობის, კონფერენციებისა და კავშირის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებების განხორციელებას.

10.15 რეგიონალური, საქალაქო, რაიონული და პირველადი ორგანიზაციების გაუქმება, კავშირის წესდებისა და პროგრამის უხეში დარღვევისათვის, შეუძლია კავშირის პრეზიდიუმს კავშირის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

XI. კავშირის რეგიონალური, საქალაქო, რაიონული და პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოს ფუნქციები

11.1 კავშირის რეგიონალური, საქალაქო, რაიონული და პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოა გამგეობა.

ა) გამგეობას ირჩევენ არაუმეტეს ორი წლის ვადით, ფარული კენჭისყრით, 5 ან 7 წევრის შემადგენლობით (გამგეობის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის ჩათვლით), განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებელია ღია კენჭისყრის ჩატარებაც.

ბ) გამგეობის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება ორგანიზაციის საერთო წევრთა რაოდენობის მიხედვით (50 წევრამდე- 5, 50-ს ზემოთ _ 7 წევრი).

11.2 რეგიონალური ორგანიზაციების გამგეობები კავშირის წესდებისა და პროგრამის შესაბამისად, კავშირის რეგიონალური დეპარტამენტის კოორდინაციით წყვეტენ ადგილობრივ საკითხებს.

11.3 რეგიონალური, გამგეობების თავმჯდომარეები ან მათი შემცვლელი პირები სამ თვეში ერთხელ ესწრებიან კავშირის რეგიონალური დეპარტამენტის სხდომას, ეცნობიან პრეზიდიუმის გადაწყვეტილებებს და რეგიონალური დეპარტამენტის თავმჯდომარის მოთხოვნით წარმოადგენენ გაწეული სამუშაოების ანგარიშს.

11.4 კავშირის წესდებისა და პროგრამის დარღვევისათვის რეგიონალური, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების გამგეობის მინიმუმ სამი წევრის ან გამგეობის სრული შემადგენლობის გადარჩევა შეუძლია საგანგებო კონფერენციას (პირველადი ორგანიზაციებისათვის – საგანგებო კრებას).

11.5 რეგიონალური, საქალაქო, რაიონული და პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოთა ფუნქციები, წესდების თანახმად, თავიანთი მოქმედების არეალში ანალოგიურია კავშირის ხელმძღვანელ და ცენტრალურ ორგანოთა ფუნქციებისა.

11.6 რეგიონალური, საქალაქო, რაიონული და პირველადი ორგანიზაციები გამგეობების საშუალებით გადიან რეგისტრაციას და მტკიცდებიან კავშირის ზემდგომ ხელმძღვანელ ორგანოში.

11.7 რეგიონალური, საქალაქო, რაიონული და პირველადი ორგანიზაციების გამგეობები თვეში ერთხელ ატარებენ გაფართოებულ სხდომებს (პირველად ორგანიზაციებში საერთო კრებას), რომლებსაც გამგეობის გარდა ესწრებიან შესაბამისი ქვედა დაქვემდებარების რგოლთა გამგეობის თავმჯდომარეები, ორგანიზაციის საკონტროლო-სარევიზიო კომისიის ხელმძღვანელი, სხვადასხვა რგოლთა ხელმძღვანელები, დაინტერესებული და მოწვეული წევრები.

XII. კავშირის სამუშაო ორგანოები

12.1. კავშირის მუდმივმოქმედი სამუშაო ორგანოებია:

- კავშირის დარბაზი (დარგობრივი საბჭო) _ ემსახურება ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში კავშირის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას. მასში შემავალი კომისიები (რომელშიც ერთიანდებიან კავშირის წევრები სურვილისა და ინტერესების მიხედვით) მიზნად ისახავენ სხვადასხვა დარგობრივი წინადადებების, კონცეფციებისა და პროგრამების შემუშავებას, ხელს უწყობენ მათ პრაქტიკაში რეალიზაციას.

დარბაზის ძირითადი მიზნებია:

ა) ეროვნული და სახელმწიფოებრივი განვითარების იდეათა და ღირებულებათა (ეროვნულ ფასეულობათა) სისტემის ჩამოყალიბება;

ბ) სახელმწიფოს განვითარების კონცეფციისა და დარგობრივი განვითარების კონცეფციების შემუშავება, კავშირის პოლიტიკურ-ეკონომიკური პლატფორმისა და პროგრამის შემუშავება და მათი პრეზენტირება კომუნიკაციების

დეპარტამენტთან ერთად.

გ) კავშირის სამოქმედო პროგრამის საკადრო უზრუნველყოფა.

კავშირის დარბაზი ექვემდებარება კავშირის თავმჯდომარესა და პრეზიდიუმს და ანგარიშვალდებულია მათთან.

დარბაზის დებულებას, სტრუქტურას, რეგლამენტს და სამუშაო გეგმას ადგენს დარბაზის თავმჯდომარე და დასამტკიცებლად, პარტიის თავმჯდომარის მოადგილის რეზოლუციით, წარუდგენს კავშირის თავმჯდომარეს. დარბაზი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, პარტიის წესდებისა და საკუთარი დებულების შესაბამისად.

დარბაზის ძირითადი სტრუქტურული ერთეულია დარგობრივი კომისია, ხოლო დამხმარე კი _ დარბაზის აპარატი, რომელიც შედგება დარბაზის თავმჯდომარის მოადგილისა და დარბაზის მდივნისაგან.

დარგობრივი კომისიებია:

1. ეროვნულ ფასეულობათა კვლევის;
2. ეკონომიკისა და ფინანსების;
3. განათლების, მეცნიერების და ტექნოლოგიების;
4. სოციალურ საკითხთა, ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის (ეკოლოგიის);
5. კულტურის, , ხელოვნების, მეცნიერების, სახალხო განათლების, სპორტისა და ტურიზმის;
6. ეროვნებათაშორისი ურთიერთობების, დემოგრაფიის, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და მართვის კომისია;
7. აგრარული (სოფლის მეურნეობის);
8. ენერგეტიკისა და მრეწველობის;
9. არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების (ინფრასტრუქტურის);
10. თავდაცვის, უშიშროების, სამართალდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების;
11. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის;
12. იურიდიულ საკითხთა;
13. საგარეო ურთიერთობების.

თითოეულ კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და მოადგილე.

კომისიების ინიციატივით შესაბამისი წინადადებები კავშირის სახელით შეაქვთ სახელმწიფო მართვის ორგანოებში სათანადო რეაგირებისათვის.

კომისიათა დამატება ან გაუქმება შეუძლია ყრილობას.

კომისიების თავმჯდომარეები თვეში ერთხელ ვალდებულნი არიან გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში ჩააბარონ დარბაზს (დარგობრივ საბჭოს), ხოლო ეს უკანასკნელი დარბაზის თავმჯდომარის მეშვეობით სამ თვეში ერთხელ ანგარიშს აბარებს კავშირის პრეზიდიუმს.

(კომისიის თავმჯდომარეს) ირჩევენ ორი წლის ვადით, რომელთა დამტკიცება ხდება დარბაზში, კავშირის თავმჯდომარესთან შეთანხმებით. ამავე წესით ხდება მათი გათავისუფლებაც.

დარბაზის თავმჯდომარე ვალდებულია მუდმივი მობილური კავშირი იქონიოს კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ინფორმაციების გაცვლის მიზნით, კონცეფციათა პრეზენტირების სიბრტყეში. საჭიროების შემთხვევაში დარბაზის თავმჯდომარე, კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ურთიერთკონსულტირებისათვის და შეჯერებისათვის ნიშნავს ერთჯერადი სამუშაო ჯგუფის შეხვედრას.

რეგიონალური ორგანიზაციების შესაბამისი კომისიების შექმნა და გაუქმება წესდების შესაბამისად და დარბაზთან შეთანხმებით შეუძლია რეგიონალურ კონფერენციებს. რეგიონალური კომისიების თავმჯდომარეების დანიშვნა-განთავისუფლება ხდება რეგიონალური ხელმძღვანელი გამგეობების მიერ დარბაზის თავმჯდომარესთან შეთანხმებით. რეგიონალური ორგანიზაციების კომისიები ასევე წარმოადგენენ კავშირის დარბაზის სტრუქტურულ ნაწილს.

12.2 ანალოგიური სტრუქტურითა და დებულებით მუშაობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კომიტეტი.

კავშირის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კომიტეტის საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპად აღიარებულია ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა. ასევე მიჩნეულია, რომ ამ პრინციპებიდან გამომდინარე, ადამიანის ღირსების უზრუნველყოფა და მისი კანონიერი რეალიზაცია თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის საძირკველია.

კავშირის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კომიტეტი იბრძვის ადამიანის უფლებების დარღვევის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ, საქართველოს შელახული სახელისუფლებო კანონიერებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის, საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური კატასტროფის წინააღმდეგ, დემოგრაფიული ექსპანსიის შესაჩერებლად, ეროვნული თანხმობისა და ერთიანობისათვის, რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი ყველა ის ძირითადი უფლებანი, რომლებიც განსაზღვრულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კომიტეტში შედის შემდეგი ქვეკომიტეტები:

ა) ქვეყნის საშინაო საქმეთა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და სახელმწიფოს მართვის საკითხებში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ქვეკომიტეტი;

ბ) ხალხთა თანასწორუფლებიანობის, სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობისა და სუვერენიტეტისათვის დამახასიათებელ უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ქვეკომიტეტი;

გ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ქვეკომიტეტი;

დ) სამართალდამცავ ორგანოთა და ქვეყნის თავდაცვით საქმეთა საკითხებში უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ქვეკომიტეტი;

ე) დემოგრაფიულ, სოციალურ, ჯანმრთელობისა და სოცუზრუნველყოფის დაცვის საკითხებში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ქვეკომიტეტი;

ვ) მეცნიერების, კულტურულ-საგანმანათლებო ქართული ენის დაცვისა და სხვა ჰუმანიტარული დარგთა საკითხებში უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ქვეკომიტეტი;

ზ)არქიტექტურის, მშენებლობის, მრეწველობის, ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, აგრარული, ვაჭრობის, ეკონომიკის და მეურნეობის სხვა დარგებში უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ქვეკომიტეტი;

თ) მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის საკითხებში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ქვეკომიტეტი;

ი) რელიგიის საკითხებში უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ქვეკომიტეტი;

კ) იურიდიულ-სამართლებრივ საკითხებში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ქვეკომიტეტი.

ქვეკომიტეტები ჰქმნიან კოლეგიალურ საბჭოს. ქვეკომიტეტების თავმჯდომარეები ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კომიტეტის თავმჯდომარესთან შეთანხმებითა და მისი მეშვეობით, კავშირის თავმჯდომარის მოადგილის რეზოლუციით წარუდგენს თავიანთი ქვეკომიტეტის დებულებას, სტრუქტურასა და რეგლამენტს კავშირის თავმჯდომარეს დასამტკიცებლად.

12.3 კავშირის კომუნიკაციების (საზოგადოებასთან ურთიერთობის) დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია კავშირის თავმჯდომარისა და მმართველ საბჭოს მიმართ და ექვემდებარება მათ.

კომუნიკაციების დეპარტამენტის ფუნქციებია:

1. პოლიტიკურ პარტიებთან, გაერთიანებებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან, არასამთავრობო სექტორთან, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, დიმპლომატიურ კორპუსთან, საზოგადოების ფართო ფენებთან, პრესასთან და მედიასთან კომუნიკაცია, მათთან ურთიერთობის დამყარება.
2. პიარ-სტრატეგიისა და პროპაგანდისტული სტრატეგიის შემუშავება საინფორმაციო-ანალიტიკურ ცენტრთან ერთად და მათი აღსრულება.
3. სხვადასხვა დარგის განვითარებასთან დაკავშირებული კონცეფციების (კონკრეტული პროექტების) პრეზენტაცია (საზოგადოებისათვის მათი წარდგენა) დარბაზთან ერთად.
4. კავშირის წარმომადგენლობითი გუნდის საზოგაოებასთან შეხვედრები.
5. კავშირის წევრთა მონიტორინგი, საზოგადოებისათვის სასურველი, საზოგადოებისათვის მისაღები კავშირის პოლიტიკური გუნდის გამოვლენა და მათი ტრენინგი.
6. კავშირის პრესცენტრთან და ბეჭვდითი ორგანოსთან დაკავშირებულ საქმიანობათა კომპლექსური წარმართვა.

ასევე კომუნიკაციების დეპარტამენტის ამოცანაა: ა) კავშირის სტრუქტურულ რგოლებსა და წევრებს (ცენტრსა და რეგიონწინც) მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია კავშირის სხვადასხვა სტრუქტურულ რგოლთა მიერ ჩასატარებელ ღონისძიებათა შესახებ; ბ) კავშირის საინფორმაციო უზრუნველყოფა (როგორც საერთაშორისო, ასევე ცენტრალური და ადგილობრივი ბეჭდვითი და ელექტრონული მედია-საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის მონიტორინგი და აქტუალური თემების გამოკვეთა);

კომუნიკაციების დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომლის დამტკიცება ორი წლის ვადით, კავშირის თავმჯდომარის რეკომენდაციით, ხდება პეზიდიუმის მიერ. პარტიის კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პრეზიდიუმის წევრიც. ამავე წესით ხდება მათი გათავისუფლებაც. კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, კავშირის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ნიშნავს და ათავისუფლებს დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილეს.

დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მუდმივი მობილური კავშირი უნდა იქონიოს კავშირის საინფორმაციო ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელთან ინფორმაციების გაცვლის მიზნით: საინფორმაციო ბაზის, პიარ-სტრატეგიის და სააგიტაციო სტრატეგიის სიბრტყეში. ასევე დარბაზის თავმჯდომარესთან ინფორმაციების გაცვლის მიზნით, კონცეფციათა პრეზენტირების სიბრტყეში. საჭიროების შემთხვევაში დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელთან ან დარბაზის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ურთიერთკონსულტირებისათვის და შეჯერებისათვის ნიშნავს ერთჯერადი სამუშაო ჯგუფის შეხვედრას.

დეპარტამენტის თანამშრომლებს ნიშნავს და ათავისუფლებს დეპარტამენტის ხელმძღვანელი კავშირის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

დეპარტამენტის ხელმძღვანელი უფლებამოსილია კავშირის თავმჯდომარესთან შეთანხმებით დეპარტამენტში შექმნას ახალი დროებითი სამუშაო ჯგუფები.

დეპარტამენტის დებულებას, სტრუქტურას, რეგლამენტს და სამოქმედო გეგმას ადგენს დეპარტამენტის ხელმძღვანელი და პრეზიდიუმის შესაბამისი ფუნქციის მქონე წევრთან შეთანხმებითა და კავშირის თავმჯდომარის მოადგილის რეზოლუციით, წარუდგენს კავშირის თავმჯდომარეს დასამტკიცებლად.

12.4 კავშირის რეგიონალური დეპარტამენტი იქმნება კავშირის რეგიონალური, საქალაქო, რაიონული და პირველადი ორგანიზაციების გამგეობების თავმჯდომარეების შემადგენლობით.

მათ გარდა რეგიონალურ საბჭოში შედის:

ა) პოლიტიკურ ღონისძიებათა და სემინართა საკოორდინაციო განყოფილება;

ბ) რეგიონალური ორგანიზაციების საკოორდინაციო, სამეურნეო და ხაზინართა განყოფილება (ორმაგ დაქვემდებარებაშია: კავშირის ფონდთან და რეგიონალურ დეპარტამენტთან);

გ) რეგიონალური დეპარტამენტის საარჩევნო კომისია (რდსკ);

რეგიონალურს დეპარტამენტს ხელმძღვანელობს რეგიონალური დეპარტამენტის თავმჯდომარე. რეგიონალური დეპარტამენტის განყოფილებათა და რდსკ-ს ჩამოყალიბება ან გაუქმება, ასევე განყოფილებათა უფროსებისა და რდსკ-ს ხელმძღვანელის დანიშვნა-გათავისუფლება ანალოგიურია კავშირის სხვა განყოფილებების წესისა.

რეგიონალური დეპარტამენტის დებულებას, სტრუქტურას რეგლამენტსა და სამოქმედო გეგმას ადგენს დეპარტამენტის ხელმძღვანელი და კავშირის თავმჯდომარის მოადგილის რეზოლუციით, წარედგინება კავშირის თავმჯდომარეს დასამტკიცებლად.

რეგიონული დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვალდებულია მუდმივი მობილური კავშირი იქონიოს იურიდიული დეპარტამენტის, საორგანიზაციო სამსახურის და კავშირის ფონდის ხელმძღვანელებთან ინფორმაციების გაცვლის მიზნით. საჭიროების შემთხვევაში რეგიონული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, იურიდიული დეპარტამენტის, საორგანიზაციო სამსახურის და კავშირის ფონდის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ურთიერთკონსულტირებისათვის და შეჯერებისათვის ნიშნავს ერთჯერადი სამუშაო ჯგუფის შეხვედრას.

12.5 კავშირის საარჩევნო შტაბი (კსშ) ახორციელებს კავშირის საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტის, ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების არჩევნებში მონაწილეობისათვის აუცილებელ საქმიანობას, როგორც კავშირის ცალკე მონაწილეობისას, ასევე რომელიმე ბლოკში გაერთიანებისას და კომპეტენციის ფარგლებში სწყვეტს სხვა მასთან დაკავშირებულ სათანადო საკითხებსაც.

საარჩევნო შტაბი წარმართავს კავშირის მთლიან საარჩევნო პროცესს: განსაზღვრავს საარჩევნო კამპანიის სტრატეგიას, ტაქტიკას და შეიმუშავებს და ახორციელებს საარჩევნო კამპანიის გენერალურ გეგმას.

კსშ-ს ხელმძღვანელობს კავშირის საარჩევნო შტაბის თავნჯდომარე, რომელიც ექვემდებარება კავშირის თავმჯდომარეს, პრეზიდიუმს და ანგარიშვალდებულია მათთან.

საარჩევნო შტაბის დებულებას, სტრუქტურას რეგლამენტსა და გენერალურ გეგმას ადგენს შტაბის თავმჯდომარე და კავშირის თავმჯდომარის მოადგილის რეზილუციით, წარედგენს კავშირის თავმჯდომარეს დასამტკიცებლად.

საარჩევნო კამპანიის დროს, საარჩევნო შტაბის სამუშაო რგოლებს არსებითად (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) წარმოადგენს კავშირის ზემოთ ჩამოთლილი სამუშაო ორგანოები.

12.6 კავშირის ერთ-ერთი ძირითადი სტრუქტურული რგოლია ასევე საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი. ცენტრის ხელმძღვანელი ვალდებულია შემუშავებული საექსპერტო დასკვნები და რეკომენდაციები წარუდგინოს კავშირის თავმჯდომარეს და საჭიროებისამებრ პრეზიდიუმს. ცენტრი ვალდებულია მზად იყოს თვეში არანაკლებ ორჯერ შეხვედრის გასამართავად კავშირის თავმჯდომარესთან. ცენტრს შეუძლია პოლიტიკურ თემატიკაზე რეკომენდაციები მიიღოს კავშირის ნებისმიერი რგოლისგან.

საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის ფუნქციებია: პოლიტიკურ პარტიებთან, გაერთიანებებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობების ანალიზი და რეკომენდაციები; სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზი და სტრატეგიული პროგრამების, საექსპერტო დასკვნების, რეკომენდაციების შემუშავება; სოციოლოგიური კვლევების ჩატარება; პიარ-სტრატეგიის და პროპაგანდისტული სტრატეგიის შემუშავება კომუნიკაციების დეპარტამენტთან

ერთად; საარჩევნო პოლიტიკის სტრატეგიისათვის და ტაქტიკისათვის რეკომენდაციების შემუშავება; მოქმედი პოლიტიკური ძალებისა და მათი ლიდერების შესახებ სათანადო ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი.

საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი შესაბამისი ამოცანების განსახორციელებლად შეიცავს, როგორც მუდმივ, ასევე დროებით ჯგუფებს. ცენტრი შეიცავს ორ სექტორს (საინფორმაციო სექტორს და ანალიტიკურ სექტორს) და დამოუკიდებელი ექსპერტების ჯგუფს. დროებითი ჯგუფები: სოციოლოგიური გამოკითხვის ჯგუფი, ცენტრში საჭიროებისამებრ შესაძლებელია შეიქმნას სამეცნიერო გამოკვლევების ჯგუფი და სხვა ჯგუფები.

საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელს კავშირის თავმჯდომარე წარუდგენს პრეზიდიუმს დასამტკიცებლად. ამავე წესით ხდება მისი გათავისუფლებაც. ცენტრის ხელმძღვანელი, კავშირის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ნიშნავს და ათავისუფლებს ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილეს. ამავე წესით ხდება მისი გათავისუფლებაც.

საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელი, შესაძლოა იყოს პრეზიდიუმის წევრიც.

ცენტრის ხელმძღვანელი ვალდებულია მუდმივი მობილური კავშირი იქონიოს კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ინფორმაციების გაცვლის მიზნით: საინფორმაციო ბაზის, პიარ-სტრატეგიის და სააგიტაციო სტრატეგიის სიბრტყეში. საჭიროების შემთხვევაში ცენტრის ხელმძღვანელი, კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ურთიერთკონსულტირებისათვის და შეჯერებისათვის ნიშნავს ერთჯერადი სამუშაო ჯგუფის შეხვედრას.

ცენტრის თანამშრომლებს ნიშნავს და ათავისუფლებს ცენტრის ხელმძღვანელი კავშირის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

ცენტრის ხელმძღვანელი ანაწილებს ცენტრის თანამშრომლების ფუნქციონალურ დატვირთვებს.

საინფორმაციო-ანლიტიკური ცენტრის დებულებას, სტრუქტურასა, რეგლამენტსა და სამოქმედო გეგმას ადგენს საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელი და კავშირის თავმჯდომარის მოადგილის რეზილუციით, წარედგინება კავშირის თავმჯდომარეს დასამტკიცებლად.

12.7 კავშირის აპარატი ასევე წარმოადგენს მის ერთ-ერთ ძირითად სტრუქტურულ რგოლს. იგი ექვემდებარება კავშირის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, პრეზიდიუმს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

კავშირის აპარატში შედის:

ა) სამდივნო განყოფილება ;

ბ) საერთო საქმეთა განყოფილება;

გ) კადრების განყოფილება;

დ) აპარატის საარქივო განყოფილება;

კავშირის აპარატის ძირითადი ამოცანაა კავშირის შიდა და გარე საქმიანობების ოქმების, გადაწყვეტილებების, საკადრო საკითხების, საგარეო ურთიერთობების შესახებ მიმოწერისა და სხვა საკანცელარიო საკითხთა საქმიანობები, საბუთების შენახვა, კავშირის სხვა დოკუმენტაციასთან მუშაობა და ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობანი.

აპარატის ხელმძღვანელს, კავშირის თავმჯდომარის რეკომენდაციით, ამტკიცებს პრეზიდიუმი. ამავე წესით ხდება მისი განთავისუფლებაც.

კავშირის თავმჯდომარის მოადგილის რეზოლუციით წარედგინება კავშირის თავმჯდომარეს დასამტკიცებლად.

12.8 კავშირის დეპუტატთა კორპუსი იქმნება კავშირის წევრი საქართველოს პარლამენტართა და ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების დეპუტატთა შემადგენლობით.

დეპუტატთა კორპუსი ანგარიშვალდებულია კავშირის თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და პრეზიდიუმის წინაშე და ექვემდებარება მათ.

დეპუტატთა კორპუსის მიზანია, როგორც ურთიერთკავშირული საქმიანობა საქართველოს პარლამენტთან და ადგილობრივ მმართველობით ორგანოებთან, ასევე კავშირში მომავალი დეპუტატობის კანდიდატთა შერჩევა-მომზადება და სხვა მათი უშუალო მოღვაწეობის სფეროებთან დაკავშირებული საკითხები.

დეპუტატთა კორპუსის დებულებას, სტრუქტურასა და სამუშაო რეგლამენტს ამზადებს კავშირის თავმჯდომარის მოადგილე და წარუდგენს კავშირის თავმჯდომარეს დასამტკიცებლად.

12.9 კავშირის იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტი წარმოადგენს კავშირის ერთ-ერთ ძირითად სტრუქტურულ ერთეულს. იგი ექვემდებარება კავშირის თავმჯდომარეს და პრეზიდიუმს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

იგი ახორციელებს კავშირის მმართველი და ხელმძღვანელი ორგანოების, ასევე სხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის იურიდიულ-სამართლებრივ უზრუნველყოფას;

დეპარტამენტის ძირითადი მიზნებია:

ა) კავშირის მმართველი და ხელმძღვანელი ორგანოების, ასევე სხვა სტრუქტურული ერთეულების იურიდიულ-სამართლებრივი მომსახურება მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და განხორციელებული ქმედებების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;

ბ) კავშირის ინტერესების დაცვა სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლო ინსტანციებში;

გ) პირველად (რეგიონალურ) ორგანიზაციებში იურიდიული სამსახურების ქსელის შექმნა და მათი საქმიანობის წარმართვა;

დ) კავშირის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა;

ე) წინასაარჩევნო კამპანიისას და არჩევნების დღეს არსებული დარღვევების დაფიქსირება.

ვ) არჩევნების პროცესში სასარჩელო დავებთან და საჩივრებთან დაკავშირებით

რეგიონალურ დეპარტამენტთან, თბილისის ორგანიზაციასთან და კავშირის

ფონდთან კოორდინირება.

დეპარტამენტი ექვემდებარება კავშირის თავმჯდომარესა და პრეზიდიუმს. ამავე დროს, იგი მჭიდროდ თანამშრომლობს კავშირის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან.

დეპარტამენტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე; დეპარტამენტის თავმჯდომარის უშუალო დაქვემდებარებაშია დეპარტამენტის თავმჯდომარის აპარატი, რომელიც შედგება დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნისაგან, ასევე ოთხი სამსახური, რომელთაც ხელმძღვანელობენ სამსახურის უფროსები;

დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია: იურიდიულ-სამართლებრივი ექსპერტიზის სამსახური; დავების სამსახური; კადრების მომზადებისა და განვითარების სამსახური და რეგიონალური სამსახურების კოორდინაციის ცენტრი (სამსახური). თითოეული სამსახურის უფროსს ჰყავს მოადგილე;

დეპარტამენტის თავმჯდომარის არაპირდაპირ დაქვემდებარებაშია ადგილობრივი (რეგიონალური) ორგანიზაციების იურიდიული სამსახურები.

დეპარტამენტის თავმჯდომარე, რომელიც შეიძლება იყოს პრეზიდიუმის წევრიც, კავშირის თავმჯდომარის წარდგინებით მტკიცდება კავშირის პრეზიდიუმის მიერ. ამავე წესით ხდება მისი გათავისუფლებაც.

იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვალდებულია მუდმივი მობილური კავშირი იქონიოს რეგიონული დეპარტამენტის, თბილისის ორგანიზაციის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კომიტეტის, კავშირის ფონდის და კავშირის სხვა სტრუქტურული რგოლების ხელმძღვანელებთან ინფორმაციების გაცვლის მიზნით. საჭიროების შემთხვევაში იურიდიული

დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამ რომელიმე რგოლის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ურთიერთკონსულტირებისათვის და შეჯერებისათვის ნიშნავს ერთჯერადი სამუშაო ჯგუფის შეხვედრას.

12.10 კავშირის თავმჯდომარის მოადგილესთან არსებული საორგანიზაციო სამსახური უზრუნველყოფს:

I კავშირის ცენტრალური ოფისის საორგანიზაციო-სამეურნეო-ტექნიკურ მომსახურებას.

II კავშირის აქციებისა და ღონისძიებების საორგანიზაციო-
სამეურნეო-ტექნიკურ მომსახურებას თბილისის ორგანიზაციასთან ან
რეგიონულ დეპარტამენტთან კოორდინირებულად.

III ამომრჩევლებთან შეხვედრების მოწყობას, ყრილობის ჩატარებას, დარბაზების
მოძიებას და შეხვედრების საორგანიზაციო-სამეურნეო-ტექნიკურ მომსახურებას
თბილისის ორგანიზაციასთან ან რეგიუნულ დეპარტამენტთან
კოორდინირებულად.

IV აქციებზე და ღონისძიებებზე კავშირის აქტივის მოწვევებს.

V კავშირისათვის საჭირო გადაზიდვების ორგანიზებას რეგიონალურ
დეპარტამენტთან კოორდინირებულად.

VI საარჩევნო კამპანიის დღის გრაფიკის განხორციელებას.

12.11 კავშირის ახალგაზრდული ორგანიზაციის მიზანები და ამოცანებია:

1. კავშირის პრინციპებისა და იდეალების პოპულარიზება, მათ გარშემო ახალგაზრდობის კონსოლიდაცია, მათი გავრცელებისათვის სათანადო მექანიზმების შექმნა-ამუშავება;
2. კავშირის მძლავრი ორგანიზაციული (სტრუქტურიზებული) დასაყრდენის შექმნა ახალგაზრდობაში;
3. ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარება და შესაძლებლობების ფარგლებში პარტნიორული ურთიერთობების აგება;

ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოა ფორუმი, რომელიც შედგება ახალგაზრდული ორგანიზაციის ყველა წევრისაგან (ასაკი 22 წლამდე), მოიწვევა კავშირის თავმჯდომარის ან პრეზიდიუმის მიერ და ასევე კავშირის თავმჯდომარესთან შეთანხმებით ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარის ან ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს (სათათბიროს) მიერ. ფორუმებს შორის პერიოდში ახალგაზრდული ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს ახალგაზრდული ორგანიზაციის სათათბირო კავშირის თავმჯდომარესთან და პრეზიდიუმთან შეთანხმებით;

ახალგაზრდული ორგანიზაციის შექმნა-გაუქმება შეუძლია ახალგაზრდული ორგანიზაციის ფორუმს, კავშირის თავმჯდომარესა და პრეზიდიუმს. კავშირის ახალგაზრდული ორგანიზაციის დებულებას, სტრუქტურასა და სამუშაო რეგლამენტს ადგენს ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე და კავშირის თავმჯდომარის რეზოლუციით წარუდგენს კავშირის პრეზიდიუმს დასამტკიცებლად.

12.12 კავშირის მაკონტროლებელი ორგანოა საკონტროლო-სარევიზიო კომისია, რომელიც აკონტროლებს კავშირის შიდა საფინანსო საქმიანობასა და პარტიულ დისციპლინას, თვალყურს ადევნებს წესდების, პროგრამისა და შიდა დებულებების შესრულებას.

კავშირის საკონტროლო-სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია ყრილობისა და კავშირის პრეზიდიუმის წინაშე. კავშირის საკონტროლო-სარევიზიო კომისიის დებულებას, სტრუქტურასა და სამუშაო რეგლამენტს ადგენს კომისიის თავმჯდომარე და კავშირის თავმჯდომარის რეზოლუციით წარუდგენს კავშირის პრეზიდიუმს დასამტკიცებლად.

XIII. კავშირის ფულადი სახსრები და ქონება

13.1 კავშირის ფულადი თანხა გროვდება საწევრო გადასახადებიდან, კერძო პირთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შემოწირულობებისაგან, საგამომცემლო საქმიანობისა და სახელმწიფო დახმარებისაგან, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წყაროებიდან.

13.2 კავშირის ფულად სახსრებს და ქონებას განაგებს კავშირის პრეზიდიუმი.

ა) კავშირის ფონდი პრეზიდიუმის გადაწყვეტილების საფუძველზე განკარგავს კავშირის ფინანსებსა და ქონებას, განსაზღვრავს კავშირის საწევრო გადასახადების წესსა და ოდენობას, რომელსაც ამტკიცებს პრეზიდიუმი.

ბ) კავშირის ფონდს ხელმძღვანელობს ფონდის დირექტორი.

გ) კავშირის ფონდის დირექტორი პრეზიდიუმის გადაწყვეტილების საფუძველზე ახორციელებს კავშირის შემოსავლების მიზნობრივ ხარჯებს.

დ) კავშირის ფონდი არჩევნების პროცესში სასარჩელო დავებთან და საჩივრებთან დაკავშირებით კოორდინირებს იურიდიულ დეპარტამენტთან.

ე) კავშირის ფონდი საწევრო და სხვა საფინანსო ანარიცხების საკითხებში კოორდინირდება რეგიონალურ დეპარტამენტთან.

ვ) კავშირის ფონდი სამ თვეში ერთხელ ანგარიშვალდებულია პრეზიდიუმის წინაშე.

13.3 კავშირის ფონდის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა განიხილება კავშირის ფონდის სამუშაო ორგანოს სხდომაზე - სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგების მუდმივმომქმედ კომისიაზე, რომელიც შედგება ფონდის განყოფილებათა ხელმძღვანელებისაგან ფონდის დირექტორის ხელმძღვანელობით. ამ სხდომაზე განიხილება და მტკიცდება გასული საანგარიშო პერიოდის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები და განისაზღვრება მომავალი გადაწყვეტილებების შესაბამისად დასახული ღონისძიებების დაფინანსების საკითხები. ფონდის დირექტორი პრეზიდიუმის წინაშე წარადგენს ინფორმაციას გაწეულ საქმიანობაზე და შესაბამისი დადგენილების პროექტს, რის შედეგაც ფონდის მიერ გაწეული საქმიანობა ჩაითვლება მიღებულად.

ფონდი შედგება შემდეგი სტრუქტურული განყოფილებებისაგან:

ა) საფინანსო და პროგნოზირების განყოფილება.

ბ) ანგარიშგების განყოფილება.

გ) შემოსავლების აღრიცხვის განყოფილება.

დ) სამეურნეო განყოფილება.

13.4. კავშირის ფონდის დირექტორი ვალდებულია მუდმივი მობილური კავშირი იქონიოს იურიდიული დეპარტამენტის და რეგიონალურ დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან ინფორმაციების გაცვლის მიზნით. საჭიროების შემთხვევაში ფონდის დირექტორი იურიდიული დეპარტამენტის ან რეგიონალური დეპარტამენტის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ურთიერთკონსულტირებისათვის და შეჯერებისათვის ნიშნავს ერთჯერადი სამუშაო ჯგუფის შეხვედრას.

13.5 კავშირის ფონდის დირექტორი კავშირის თავმჯდომარის წარდგინებით მტკიცდება პრეზიდიუმის მიერ. ამავე წესით ხდება მისი გათავისუფლებაც.

13.6 კავშირის ფონდის განყოფილების უფროსები ინიშნებიან და თავისუფლდებიან ფონდის დირექტორის მიერ კავშირის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

13.7 კავშირის ფონდის დებულებას, სტრუქტურას, რეგლამენტს და სამოქმედო გეგმას ადგენს ფონდის დირექტორი და კავშირის თავმჯდომარის მოადგილის რეზოლუციით დასამტკიცებლად წარუდგენს კავშირის თავმჯდომარეს. ამ კომისიის სხდომაზე ასევე განიხილება და მტკიცდება გასული საანგარიშო პერიოდის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები და განისაზღვრება მომავალი გადაწყვეტილებების შესაბამისად დასახული ღონისძიებების დაფინანსების საკითხები.

13.8 კავშირის რეგიონალური, საქალაქო, რაიონული და პირველადი ორგანიზაციები ვალდებულები არიან ყოველთვიური სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შესახებ მიაწოდონ ინფორმაცია კავშირის ფონდის დირექტორს, რომელსაც ევალება უზრუნველყოს ამოღებული სახსრების კონსოლიდაცია კავშირის ხაზინის ცენტრალურ ანგარიშზე.

XIV. კავშირიდან წევრის გარიცხვისა და გასვლის წესები

14.1 კავშირის წევრი (ან წევრთა ჯგუფი) კავშირიდან გაირიცხება;

ა) კავშირის წესდებისა და პროგრამის უხეში და განზრახ დარღვევისათვის;

ბ) ქმედებისათვის, რომელიც სახელს უტეხს კავშირს;

გ) დაკისრებული მოვალეობისა და დავალებების შეუსრულებლობისათვის, არასაპატიო მიზეზით ხშირი გაცდენებისათვის და უდისციპლინობის შემთხვევაში;

დ) საწევროების ხანგრძლივი (ერთ წელზე მეტი) გადაუხდელობისათვის.

14.2 კავშირის წევრის (ან წევრთა ჯგუფის) გარიცხვის საკითხს განიხილავს შესაბამისი რეგიონალური, საქალაქო, რაიონული ორგანიზაციების კონფერენციები (პირველადი ორგანიზაციისათვის _ კრება) ან გამგეობის სხდომები, შემდგომ კავშირის პრეზიდიუმთან საკითხის დასმითა და მასთან შეთანხმებით.

14.3 კავშირის წევრის (ან წევრთა ჯგუფის) გარიცხვის საკითხს ამტკიცებს კავშირის პრეზიდიუმი.

14.4 კავშირის წევრი (ან წევრთა ჯგუფი) კავშირიდან გასულად შეიძლება ჩაითვალოს:

ა) წევრის პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) შესაბამისი ხელმძღვანელი ორგანოების მიერ გამოცხადებული რეგისტრაციის გაუვლელობისათვის.

14.5 კავშირის წევრის (ან წევრთა ჯგუფის) კავშირიდან გასვლის საკითხს განიხილავს შესაბამისი რეგიონალური, საქალაქო, რაიონული ორგანიზაციების გამგეობების სხდომები, პირველადი ორგანიზაციებისათვის-კრება, შემდგომ ზედა ხელმძღვანელ ორგანოებში საკითხის დასმითა და მათთან შეთანხმებით.

14.6 კავშირის წევრის (ან წევრთა ჯგუფის) კავშირიდან გასვლის საკითხს ამტკიცებს პრეზიდიუმი.

XV. კავშირის საქმიანობის შეწყვეტა

15.1 კავშირის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს თვითლიკვიდაციის საფუძველზე.

15.2 კავშირის თვითლიკვიდაცია შეუძლია ყრილობას, თუ კავშირის თვითლიკვიდაციის მომხრეა წევრთა სიითი რაოდენობის 2/3.

15.3 კავშირის საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა სახელმწიფო ხაზინას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - - ეროვნული აღორძინების" პრეზიდიუმი

ნოდარ კიკნაძე
„საქართველოს ჰელსინკის
კავშირი -
ეროვნული აღორძინების"
თავმჯდომარე,
პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ნუკრი ბაღდავაძე
„საქართველოს ჰელსინკის
კავშირი -
ეროვნული აღორძინების"
თავმჯდომარის მოადგილე,
პრეზიდიუმის თავმჯდომარის
მოადგილე

დავით ევგენიძე
„საქართველოს ჰელსინკის
კავშირი -
ეროვნული აღორძინების"
პრეზიდიუმის წევრი

მირიან მაღრაძე
„საქართველოს ჰელსინკის
კავშირი -
ეროვნული აღორძინების"
პრეზიდიუმის წევრი

გივი კვანტალიანი
„საქართველოს ჰელსინკის
კავშირი -
ეროვნული აღორძინების"
პრეზიდიუმის წევრი

დავით კაპანაძე
„საქართველოს ჰელსინკის
კავშირი -
ეროვნული აღორძინების"
პრეზიდიუმის წევრი

შეშლილი დრო, თარიღები და შეფასებები, ანუ, კვლავ მოდაზე აჭრილი, ვითომ დავარცხნილი აზრები

რატომღაც, ახალი - 2015 წლის დადგომაისთანავე, ახლებური თრთოლვა თითქოს მოჩვენებითად და გამძაფრებულად ვიგრძენი.

გილოცავთ! შობას, ახალ წელს, კიდევ შობას და კიდევ, ძველით ახალ წელს ...

ილუზიების დღესასწაულია, დიდი ილუზიების ილუსტრაცია და ლუსტრაცია . . . , აბა, რა?!

საშობაო ანგელოზები, თოვლის პაპები, თუ სანტა კლაუსები . . .

ილუზია, კვლავ ილუზია და ისევ ილუზია . . .

შეშლილი დრო როდია მხოლოდ, მას თავისი კანონები აქვს - მეცნიერული, რელიგიური, ტრადიციული და ზოგჯერ თავად შეშლილიც . . .

შეშლილი არც თარიღებია მარტო, შეშლილობაა თარიღებისადმი არასამართლებრივი არასწორი მიდგომა და პარალელიზმი . . .

შეშლილი, თითქოს, არც ეს ახალი წელია. ამ თარიღით ბოლო ორასი წელზე მეტია ვსარგებლობთ და მაშინ, გამოდის მხოლოდ ეს პერიოდია შეშლილები ვართ . . .

შეშლილი, შეშლილი, შეშლილი, განა მაშინ არა ვართ, როცა ცივა, ქარია, გულში ფორიაქი, გარეთ კი ომი, მაგრამ მაინც იწერება ლექსები, სიმღერები . . .

ჩვენ კი შეიძლება დღესაც გვიკვირდეს, თუ რატომაა ეს სიყვარული ვერტიკალური და თანაც ბრუნვადი . . . არადა არის!

მართლაც მოჯადოებულივითა ვართ და მოჯადოებულსავე წრეზე ვტრიალებთ ვითომ, ვითომ . . .

ნაძვის ხეებიც ავიღეთ და საახალწლო-საშობაო ეიფორიაც მას მივაყოლეთ, დღესასწაულებიც დამთავრდა თითქოს . . .

. . . მომავალი, ტრაგი-კომედიული, შეშლილი დღესასაწაულებისაც უნდა გვეშინოდეს ვითომ!?

. . . უფალი მაღალია, არც ჩვენ ვართ მთლად წყალწაღებულნი, რწმენითა და იმედით ვცხოვრობთ და მჯერა ბევრ შეშლილ დროს, თარიღსა და შეფასებებს გადავაგორებთ, გადავაფასებთ კვლავაც, მოვალენიც ვართ.

თავად ნაპოლეონიდან, ნაპოლეონის ნიღაბიღა შემორჩა, თუმცა, მისი სახელობის ფენა-ფენად დალაგებულ უგემრიელეს ტორტისეულს თუ გავიხსენებთ, ბევრი ასეც ფიქრობს, რომ ნაპოლეონს მხოლოდ ამისათვისაც ტყუილად არ უცხოვრია . . .

ასევე უგემრიელესი ტორტი შემორჩა მისი - ნაპოლეონის ,,ერთადერთი მეგობარისაგან, რომელმაც განუსაზღვრა მას ბედი" - მარია ჟოზეფინა როუზ ტაშე დე ლა პაჟერისაგანაც, თუნდაც მისი და მისდამი სიყვარულის საფასურად. ყველაფერთან ერთად, ასევე, უგემრიელესია დაკურკული და სპირტში გამოყვანილი ალუბალისაგან მომზადებული ნამცხვარ-ტორტი, ,,მთვრალი ალუბალის'' საფირმო სახელწოდებით.

განსაკუთრებულია მადამ ბოვარი - „მადამ ბოვარი პროვინციული ზნე–ჩვეულებებით", ანუ ადამიანი ტრაგედია.

თითქოს კვლავ, ყოველწლიურად, განსაკუთრებით ,,ახალი წლის" სუფრაზე სხვა კერძებთან და ტკბილეულთან ერთად, მართლმადიდებელთათვის მძიმე მარხვის პერიოდში, გაუთვითცნობიერად, ,,რომაული ღრიანცელით" გვეგებებიან ნაპოლეონი, ჟოზეფინა, მწუხარე სახის ემა და ,,მთვრალი ალუბლები".

და კვლავ, უცნაურად, უკვე მერამდენედ, ინდიქტიონი სადღესასწაულო დღედ იქცევა ხოლმე.

არადა, როგორც მორწმუნე ადამიანი და ერი ნამდვილ ახალ წელსაც უბრალოდ მადლობას უნდა უხდიდეს უფალს განვლილისთვის და წყალობას სთხოვდეს შემდეგი წლისათვის.

ამ პერიოდში, ემმა ბოვარის ისტორია თითქოს ისევ მეორდება ჩემში - კონფლიქტი გაიდეალებულ ცხოვრებასა და სასტიკ რეალობას შორის.

მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა . . . თუმცა მნიშვნელოვანი და კავშირდებული . . .

რამეთუ არ ვიცით, ჩვენ, თანამედროვენი, რა კერძებად, თუ ტკბილეულად შემოვრჩებით მომავალში ჩვენი წარმართი ცხოვრების საფასურად?! . . .

ბედნიერ წელიწადს გისურვებთ ყველას!

,,მერე რა რომ ავდარია, ჩვენ ერთად ვართ მთავარია . . ."

ზუსტი მიგნებაა, როცა ვამბობთ, რომ აკლიაო ჩვენს პეიზაჟს სითბო და სურნელი. უხილავი ძაფები კი თითქოს რეალისტურად გვეთამაშება და ცდილობს გვიბრძანოს - მეტი დამაჯერებლობა შეჰმატეთ თქვენს როლებსო.

ჩვენ კი, კვლავ, სამწუხაროდ, ერთჯერადი, პლასტმასის ჭურჭლისა და ადამიანური ურთიერთობების ეპოქაში ვცხოვრობთ და გვგონია თითქოს რაღაც განსაკუთრებული როლი გვაქვს ამ ვირტუალურ სპექტაკლ-ცხოვრებაში, გვგონია დამთავრდა რაღაც შავი პერიოდი და ეხლა მაინც გვაღირსა, ასევე უცნობმა რეჟისორმა, ჩვენი საკადრისი როლი.

არადა, ძალაუფლების მქონე ხელისუფლებასთან, ერთან და ბერთან ერთად, რაღაც უცნაური შელოცვისა, თუ მოხერხებული და გავლენიანი რეჟისორის ძალისხმევით, ისევ სიურეალისტურ სპექტაკლებში ვართ ჩაფლობილები. ამიტომაც გვგონია, რომ გასვლითი სპექტაკლებიც გვაქვს ხოლმე და გლობალური ბარტერიც არტისტიზმთან ერთად ხაზს უსვამს ჩვენს გენიალობას, როგორც თეატრალურ

სახისმეტყველებაში, ასევე უბადლო ბიზნესხელთსაქმიანობაში.

გვეჩვენება, რომ ახალი წლიდანვე, მაგარი სცენარი და სიუჟეტებია დაგეგმილი, ძლიერი და დამაჯერებელი დრამატიზმია, შექსპირსაც რომ შეშურდებოდა და ამის მიუხედავად, ელემენტარულად ვერ ვგრძნობთ, რომ ,,ამ ჩვენს წარმტაც პეიზაჟს" სითბო აკლია კი არა, სრული გამყინვარება და უძრაობაა, თავისი მოჩვენებითი როლებით, უიდეო სცენარებითა და ცრუ, ყალბი, მარიონეტული რეჟისურით. ყველაფერი კი, ჩვენზე ,,თავდამტყდარი", ,,მდიდარი" ფანტაზიის ნაყოფია და არაფერი აქვს საერთო რეალობასთან. ეს ყველაფერი მართლაც მწარე რეალობაა, სითბოსა და ფერების გარეშე, ესაა ჩვენი ცხოვრების ყრუ საუნდტრეკიცა და უფერო ფერიც.

ოდესღაც, სადღაც, დაკარგული გვაქვს ცისარტყლის ფერი

და რაღა დაგვრჩა?! თეთრი და შავი?! სხვა არაფერი?!

არც მე ვიცი, რა გვიშველის?! სხვა თუ არაფერი, გალაწუნ- შემოლაწუნებულები კი ვართ კაიხანია, ,,კუსი გვეკუსების" და ,,მეხიც გვეთხლიშების". უკვე მოსაწყენი გახდა, რომ ,,სუ ტელავია" და სუ გულავია" , სატირალ-საცინრად გვაქვს საქმე ნამდვილად.

თარიღებიო და აი რვა მარტმაც ჩაგვიქროლა!

განა რა შუაშია რვა მარტი?! . . .

არც მე არ ვიცი, მართლაც საოცარია ქალთა ლოგიკა? . . . მოდასავით თავისებურ და ახლებურ ხედვას თხოულობს, ყოველთვის უცნაურიცაა და მიმზიდველიც მათი რეალური, თუ ხშირად იდუმალი, ნიღბიანი სახე . . . დღეს, არცერთი სარდალი, პიკერსონი იყოს თუნდაც, არ დადებს ნიძლავს არცერთ ფილოლოგიის პროფესორ ჰიგინსთან, რამეთუ, წინათ, თუ შეიძლებოდა სამ თვეში, ქუჩის უბრალო ყვავილების გამყიდველი გოგონასაგან ლედი გამოეძერწათ, ეხლა ეს ბევრად ,,ადვილია"! უკვე ფართო გაყიდვაშია და ადვილად იშოვი თუნდაც ვენეციელი ლედის ნიღაბს, არაფერი რომ არ ვთქვათ პირველი, მეორე, მესამე და ა. შ. რა დალევს, ლედების ნიღბებზე, ელვისებურად, ბანოვანად - პრივილეგიური წოდების მანდილოსანად, ,,დარბაისელ და საპატიო ქალად" რომ გაქცევს ,,ჩვენს ქალაქში". არადა ბანოვანნთა წოდებებით იყვნენ შემკულნი თავდაპირველად საქართველოში მთავრებისა და აზნაურების მეუღლეებიც. შუა საუკუნეების ბოლოდან კი ახალი ნიღბით ,,**Светская львица**"-თი მოგვევლინნენ.

დღეს კი, სადღაც, გახუნებულ ,,შავ-თეთრ" თაროზე ისევ მოსჩანს ,,დაობებული" ,,ლედი-კარატე", ოდნავ ღია ფერებში ,, პაკო რაბანის ლედი მილიონი", ,,ლედ ტელევიზორი" გვამცნობს, რომ მეჰრიბანი საუკეთესო პირველი ლედის ხუთეულში მოხვდა, ხოლო ,,ლედ ნათურის" შუქზე ,,რკინის ლედი" იოლად ჩაანაცვლა სტეფანი ჯოან ენჯელინა ჯერმანოტამ - ლედი გაგად წოდებულმა.

. . . სიყვარულს ხომ საერთოდ რას გაუგებ, საიდან დაუბერავს? . . .

და მაინც, ბრუნოსავით თუნდაც დამწვან, დღესაც შევსძახებ, ისინი არსებობენ, ნამდვილი ლედი და ბანოვანი კვლავ არსებობს და ის ჩვენს, ქართულ, ლამაზ ოჯახებში ვარდებად არიან მოვლენილნი, მოვლენილნი ჩვენი დედების, დაიკოების, მეუღლეების და თქვენი - ჩემო ქალბატონო მეგობრებო, თქვენის სახით და ეს ცხოვრებისეული კოდექსი უკუნისიდან უკუნისამდე მუდამ იარსებებს მაინც!

ერთი რამ ცხადია და უდაოა - როცა სულს უხარია, დღე - სასწაულიც მაშინაა უთუოდ . . .

ბევრად რთულადაა საქმე, როცა საერთო სახელმწიფოებრივ, რელიგიურ და მითუმეტეს საერთაშორისოდ დაკანონებულ სადღესასწაულო დღეებთან გვაქვს საქმე?!

შეიძლება გულთან და სულთან არც მოვიდეს, არ გიყვარდეს, მაგრამ ანგარისგასაწევია უცილობოდ.

ისე, ნამდვილად გეთანხმებით, თუ საქმე გვაქვს შიდა სახელმწიფოებრივ დღესასწაულებთან, საჭიროა კი, ცალკე ქალთა, ცალკე დედების და ცალკე სიყვარულის დღეების აღნიშვნა და დაკანონება?!

იქნებ, გაგვეერთიანებინა ეს ყველაფერი!?

მართლაც, კარგი იქნებოდა!

არავის განვსჯი, ვისაც როდის უნდა მაშინ მიულოცოს ქალბატონებს, უბრალოდ, მეც ჩემს, თქვენთვის შესაძლოა შეშლილ აზრს ვამბობ მხოლოდ . . .

მე ვინ მკითხავს, უბრალო მოკვდავს, თორემ ჩემი აზრით, ჩვენი მართლმადიდებლურ-ქრისტიანული ქვეყნისათვის, ეროვნულ-სარწმუნოებრივი სახელმწიფოებრივობისათვის, ქალბატონების სადღესასწაულოდ და მისალოცად ყველაზე საუკეთესო დღედ მიმაჩნია ხარება, ძვ. სტ. 25 მარტი/ახ. სტ. 7 აპრილი.

განა, თავად ანგელოზის სიტყვები არაა:

,,გიხაროდენ მიმადლებულო, უფალი შენთანაა! კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა!"

. . . ამაზე დიდი დალოცვა რა უნდა იყოს ქალბატონთათვის?

რა ვიცი, მომიტევეთ ჩემი აზრი, თუ არ მეთანხმებით! მანამდე კი, ასე მოგმართავთ . . .

მე არ ვიცი რა დღეა 8 მარტი?! მაგრამ თუ ის იქნება ქალბატონების, სილამაზისა და სიყვარულის დღე, მზადა ვარ ყოველდღე მივულოცო ჩემს ულამაზეს, უსათნოეს და უსაყვარლეს მეგობარ, ახლობელ, თუ ნათესავ გოგონებსა და ქალბატონებს მშვენიერების, სინატიფის, ბედნიერებისა და სიყვარულის სამარადჟამო ყოველდღიური დღე სასწაულისა! მერე რა, რომ ილუზიაა - ,,ჟუჟუნა წვიმა" და ,,ოცნებების ასრულება" არ მოხდებაო. სამაგიეროდ გავხალისდებით, გავხურდებით,

ცხოვრება ხომ წინაა, რა იცი, რა დღე სასწაულისა გველის . . . თორემ, რა დარეცხავს და დააუთოებს ამდენ უკვე მერამდენად მეორად სარეცხს?! შეიძლება მეორე ახალ წლამდე კი არა, სიცოცხლის ბოლომდე ვერ მოვასწროთ ყველაფრის დარეცხვა, მაგრამ დავიწყოთ მაინც.

დავიწყოთ სახლის დალაგებაც, ჭურჭლისა და სარეცხის რეცხვაც და რაც მთავარია, ეს ყველაფერი ვაკეთოთ თბილი ღიმილით და არა ,,შემოლაწუნებების“ შედეგად!

,,შემოლაწუნება“ ხომ ქართული, ხალხური, არატრადიციული მკურნალობის ერთგვარი ხერხიცაა და მიზნად მხოლოდ ობიექტის აზრზე მოყვანას ისახავს... დიახაც, უნდა დავაფასოთ თანამედროვე კრეატიულობა!

ამავე დროს, შემოლაწუნებას - ნაზად მოთათუნება და მოფერებას, ხშირად უთუოდ მიზნად დაჰკრავს ხოლმე მინარევთა მსხვრევადი პროცესის, გაზაფხულის მოსვლის მაგვარი შეტყობინების - მესიჯის სურნელება.

ამიტომაც, მოდით, ,,ვულაწუნოთ და ვულაწუნოთ“ ერთმანეთს, ,,ვუნგრიოთ ერთმანეთს ბანები“. რაც უფრო კარგად შევძლებთ უცხოთა დაკვეთით ერთმანეთის ,,ლაწუნს“, მით მეტ ტაშსა და ვერცხლს დავიმსახურებთ ამ მართლაც საბაზრო სამყაროში. ისედაც, რა ხანია ,,გვილაწუნებს“ სინამდვილე და დღემდე კიდევ ვერ მოვედით აზრზე . . .

არადა ,,ციციკორედან“ დაწყებული ,,გასაციციკორებულებამდე“ მართლაც ყველას მოუხდებოდა ,,შემოლაწუნებ-გალაწუნებანი“. იქნებ მეც?! რა ვიცი, მოდას ხომ ვერ ჩამოვრჩები?!

ღიმილისათვის კი აუცილებელია არ დაგვავიწყდეს ფანჯრების დაწმენდაც, რამეთუ ყველაფერი ხომ იმ ფანჯარაზეა დამოკიდებული, რომლიდანაც ვუყურებთ ერთმანეთსა და რეალობას.

დავრწმუნდეთ, რომ ჩვენი გული და განზრახვებიც ქათქათა და სუფთაა.

იუმორი და კეთილი ირონია უთოდ გვიხსნის ჩვენ, ჭეშმარიტად!

ეს, კია, ჩვენ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, თუ არ გვახსოვს, ვისი ბორისა ვართ, ესეც იმ შემთხვევაში მაინც, თუკი გვეშველა და გამოვედით საღათადან.

სამწუხაროდ, დღეს არსებული ძალაუფლების მქონე ფაქტობრივი სისტემები სულ უფრო მეტად გაუკუღმართებული ,,წვრთნის" ფუნქციით შემოიზღუდებიან, აკნინებენ ეროვნული გამარჯვების დღეთა მნიშვნელობებს და იმთავითვე უნერგავენ ახალგაზრდობას ნიჰილიზმს, ავტორიტეტისა და თაყვანისმცემლობის უარყოფას, რომ არ არსებობს რაიმე უნივერსალური, საყოველთაო და, მით უმეტეს, ღვთიური დოგმები, წესები და წესრიგი, ანუ, სრულებით ისპობა ღვთიურ სინათლესთან სულიერი ზიარების სისტემა. უფლისადმი სულიერ დამონებას, მორჩილებასა და თაყვანისცემას მასობრივად ცვლის კერპთაყვანისმცემლური მისწრაფება მატერიალური ღირებულებების, ფულის, დოვლათისა და სიმდიდრისადმი.

აქედან გამომდინარე, დღესაც, ,,დგას დილემა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერთის მხრივ მოქალაქეობრივი თავგანწირვა, ნიადაგ სინდისის კარნახით მოქმედება, სულიერი იდეალების პირველ პლანზე დაყენება, ხოლო მეორეს მხრივ, ფილისტერული, თვითკმაყოფილი ფსევდოპრაგმატიზმი, სინდისის ხმის ჩახშობა საკუთარ სულში, თვალის დახუჭვა ყოველგვარ უმსგავსოებაზე, რომელსაც სჩადის ესა თუ ის საზოგადოებრივი წყობა, თუ ცალკეული ადამიანი.

. . . დღევანდელი ადამიანისთვის მთავარია, რომ მან შეიგნოს დილემის არსი, დილემისა, რომელიც თავად განგებამ წამოუყენა. . .

. . . სიმართლისათვის თავდადებამ კი არ შეიძლება არ მიგვიყვანოს სიმართლისა და სიკეთის წყარომდე – ღმერთამდე. . . (ზვიად გამსახურდია, ,,დილემა კაცობრიობის წინაშე).

ასეთ ვითარებაში, აუცილებელია, კიდევ ერთხელ გამახვილდეს მამულიშვილთა ყურადღება, ქართული ეროვნული იდეოლოგიისა და მოძრაობის, ეროვნული ცნობიერების დაცვის, აპოლოგიის აუცილებლობაზე.

31 მარტი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღია - დღე სასწაულისა!

ეს არის დღე საყოველთაო რეფერენდუმისა, რომელიც ჩატარდა საქართველოს მთლიან ტერიტორიაზე და რაც გახდა საფუძველი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის მიღებისა;

ეს არის დღე, როდესაც საქართველოს ისტორიაში, ასევე, პირველად ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების არჩევნები;

და, ეს არის თარიღი, რომელიც დაემთხვა ზემოთჩამოთვლილი ამ უმნიშვნელოვანესი აქტების მთავარი იდეის მატარებლისა და განმახორციელებლის - საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელისა და ლიდერის, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას დაბადებისდღეს!

ამასთანავე, კიდევ ერთხელ ვაცხადებთ: მათ, ვინც გაითავისებს კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნას, აუცილებლად მიეცემა ტრიბუნა, 31 მარტის – თავისუფლების ტრიბუნა და შანსი, იმ მამულიშვილებთან ერთად, ვისთვისაც თავისუფალი საქართველოს იდეა პირველადია და შეუცვლელი, გვერდი-გვერდ დგომითა და ბრძოლით მიაღწიონ სანუკვარი თავისუფლების იდეის რეალიზაციას!

საქართველოში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბრძოლამ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის 1989 წლის 9 აპრილის ღამეს (კიდევ ერთი დღე სასწაულისა),ზენიტს მიაღწია და ამ ბრძოლის პირველი ეტაპი დაგვირგვინდა 1991 წლის 9 აპრილს (კვლავაც დღე სასწაულისა), საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის გადაწყვეტილებით, რეფერენდუმის შედეგების შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ, 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის სამართალმემკვიდრეობით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებით. მანამდე კი, 1990 წლის 28 ოქტომბერს, მრავალპარტიულ, არასაბჭოთა, საყოველთაო, დემოკრატიულ არჩევნებში გაიმარჯვა ეროვნულმა ხელისუფლებამ, რომელმაც 1991 წლის 31 მარტს ჩაატარა კიდეც საყოველთაო რეფერენდუმი სამართალმემკვიდრეობით განსაზღვრული საქართველოს სახელმწიფოებრივი სტატუსის შესახებ – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. ესეც უნიკალური დღე იყო, დღე სასწაულისა.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოში აღსდგა არა მხოლოდ ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, არამედ – 1918-21 წლების კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობაც.

შესაბამისად, 9 აპრილი არის გმირული ბრძოლისა და ამ ბრძოლაში გამარჯვების დღე.

უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინება, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა ვერ მოხერხდება ქართველთათვის ნიშნეული ცხოველი მორწმუნეობის აღორძინების გარეშე, ზნეობრივი აღორძინების გარეშე – ამას ადასტურებს საქართველოს წარსულიცა და აწმყოც.

ამიტომაც, დღესაც, კვლავ ომახიანად ისმის ზვიადი სიტყვები:

„... ქართველო ერო, შენ წინაშე არის ორი გზა, შენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მივიდა გზა-გასაყართან. აი, გზა ილია მართლისა, აი, გზა სიწმინდისა, ზნეობისა. აი, გზა დემოკრატიისა. აი, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა და აი, ყაჩაღობისა და მზაკვრობისა. აი, გზა ტერორიზმისა! აირჩიე, ქართველო ერო, აირჩიეთ, ქართველებო, აირჩიეთ ქრისტეს გზა და კეთილის გზა, აირჩიეთ ილია მართლის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს. და ვინც წავა წარწყმედის გზით, ბარაბას გზით, შეჩვენებულ იყოს უკუნისამდე. ჩვენ, ძმანო, ვდგავართ პირისპირ სატანასთან, გველეშაპთან. ან ჩვენ დავამარცხებთ მას წმინდა გიორგის ძალისხმევით, ან ის შთანთქავს ჩვენს ისტორიულ ბედ-იღბალს და გაგვთელავს ჩვენ ეს კოსმიური გველეშაპი, ეს პლანეტარული მხეცი, ანტიქრისტე, რომელიც წარმოგვიდგა და გვეუბნება: აი, ეროვნული მოძრაობაო, და ეროვნული მოძრაობის ნიღბით და საფარით მოდის ანტიქრისტე, მოდის ბარაბა და მოდის შეჩვენება...".

ღმერთთან დრო არ არის!

ღმერთი დროსა და თარიღებზე აღმატებულია!

ღმერთი შეგვეწიოს ყველას. ამინ!

უღრმესი პატივისცემით ნუკრი ბაღდავაძე

მარადიულ ნათელში

,,საქართველოს ჰელსინკის კავშირის" ჟურნალ ,,მატიანესთვის" კვლავ გრძელდება მოსაგონარი წერილების დაწერა ორგანიზაციის აწ გარდაცვლილ წევრებზე, საოცარ, ღირსეულ ადამიანებზე, ისეთებზე, მაცხოვარი რომ ,,მარილს ამა ქვეყნისას" უწოდებდა.

მარადიულ ნათელში ყოფილიყვნენ! ამინ!

გიორგი (გოგი) ყაველაშვილი

მამის გახსენება

ყოველი ადამიანი უსასრულობაა- სამყაროა, ენერგიაა. ადამინის ცხოვრება იწყება აქ - დედამიწაზე და გრძელდება იქ - მარადიულ სამყაროში. როგორი შეგნებითაც იცხოვრებს აქ იგი, იმგვარი წარდგება უფლის წინაშე.

ადამიანი შექმნილია ღმერთის ხატად, ხოლო მიმსგავსება მასზეა დამოკიდებული. იგი თვითონ ირჩევს ღვთისნიერ გზას ან უღმერთოს. მის არჩევანზეა დამოკიდებული საუკუნო სიცოცხლე ან წარწყმენდა.

საყვარელი ადამიანები გვტოვებენ და „გარდაიცვლებიან სიკვდილისაგან სიცოცხლეში", როგორც ქრისტეს სახარება გვასწავლის. გარდაცვლილებს თან მიაქვთ ჩვენი უსაზღვრო სიყვარული, რომელიც ლოცვად იქცევა და მათ გზას უნათებს მარადიულ სამყაროში.

მამის სიყვარულს იმდენად ძლიერ ვგრძნობდი, რომ ვფიქრობდი: ალბათ, ამგვარი სიყვარული არავის შეუძლია, მთელი სამყარო, რომ დამემხოს თავზე ეს გრძნობა მაინც მიხსნის განსაცდელისაგან მეთქი.

ვფიქრობ, ადამიანს, რომელსაც ამგვარი სიყვარული შეუძლია, მან უკვე შეძლო ნამდვილი ცხოვრება.

მამაზე საუბარი უსასრულოდ შეიძლება: მას საოცრად უყვარდა ადამიანები, ბუნება, ფლორა და ფაუნა.

მისთვის უძვირფასესი გრძნობა იყო მეგობრული სიყვარული და მეგობრისთვის თავგანწირვა შეეძლო.

ყოველი ფეხის ნაბიჯზე არიგებდა სიყვარულს, გულისხმიერებას და მეგობრულ სითბოს. განსაკუთრებით კი უყვარდა ბავშვები, თითქოს ქრისტესმიერ გვეუბნებოდა: "გამოუშვით ბავშვები და ნუ აბრკოლებთ მათ ჩემთან მოსასვლელად, ვინაიდან ამათნაირებისაა ცათა სასუფეველი."- მათეს სახარება, თავი 19-ე.

მისი გახსენება ყოველთვის ცრემლს

მგვრის, რომელიც გულის სიღრმიდან მოდის, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ გამოვხატავ ჩემს სიყვარულს მისდამი.

სიყვარული ისეთი სიღრმეა, რომ უსასრულობამდე გრძელდება და თუ ბოლომდე მოისურვებ მის დატევას, შესაძლოა ჭკუიდანაც შეიშალო.

დროის გასვლასთან ერთად მამის სიყვარული კი არ ჩამქრალა ჩემ გულში – უფრო მეტად აინთო.

მამა ცოცხალია ჩვენს გულებში, ხსოვნაში. იგი ცოცხალია იმ სამყაროში და მწამს ახლა იქიდან გვიყურებს და გვლოცავს, გვისურვებს სიყვარულს, მოთმინებას განსაცდელში და ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებას, რადგან ამქვეყნიური ეკლესია მებრძოლია, ხოლო იმქვეყნიური – მოზეიმე.

მისთვის ღირსება ყველაზე და ყველაფერზე მაღლა იდგა. მან ბოლომდე ღირსეულად იცხოვრა და ჩვენც იგივეს მოგვიწოდებს: ვიცხოვროთ ღირსეულად, სიყვარულითა და მოთმინებით, ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალებისათვის, სულიერი სიძლიერისთვის ბოლომდე და როცა დრო მოვა, შევუერთდეთ ზეციურ ეკლესიას, რომელიც მუდამ ნეტარებს უფალში.

გოჩა ბიჭაშვილი

,,არაფერი გემართოთ არავისი, გარდა სიყვარულისა, რადგან ვისაც უყვარს მოყვასი, მან აღასრულა რჯული" (პავლე მოციქული, რომაელთა მიმართ).

გოჩა ბიჭაშვილი ბუნებამ დააჯილდოვა უდიდესი სიყვარულისა და ერთგულების ნიჭით. გოჩა ხომ რაჭის უბეში გაიზარდა და მის კუთხეზე მოზღვავებული სიყვარულით იყო მიჯაჭული. იგი ბუნებით მტკიცე და შეუვალი, ერთგული და იმედიანი კაცის სახელით დადიოდა. მისი მიზანი და ოცნება დამოუკიდებელ საქართველოში ცხოვრება და მოღვაწეობა იყო.

გოჩა იყო ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" წევრი და ამბროლაურის რაიონის პრეფექტი. **1991** წლის წლის გაზაფხულზე, რაჭაში. დადამანგრეველმა მიწისძვრამ თითქმის მიწასთან გაასწორა რეგიონი. ეროვნულმა ხელისუფლებამ სასწრაფო ზომები მიიღო დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად, მთელი საქართველო დადგა რაჭველების გვერდით. გოჩა თავდაუზოგავად შრომობდა, ეხმარებოდა და ამხნევებდა მოსახლეობას. მან ძალისხმევა არ დაიშურა და საკმაოდ მცირე დროში ბევრი საქმის გაკეთება მოასწრო, რაიონის საკეთილდღეოდ, იგი შრომობდა მუხლჩაუხრელად კეთილსინდისიერად. ამიტომაც დაიმსახურა მოსახლეობის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა.

მალე ჩვენდა საუბედუროდ საქართველოს ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდა, **1991-1993**-წ. წ. სახელმწიფო გადატრიალებამ (პუტჩმა) მოგვიტანა ომი და ნგრევა, რამაც რადიკალურად შეცვალა მდგომარეობა ქვეყანაში.

გოჩა ბიჭაშვილი მყისიერად ჩადგა სამშობლოს დამცველების გვერდით და იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, შემდეგ იდევნებოდა ხუნტის მიერ და ტრაგიკულად განიცდიდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. მიუხედავად დევნისა და შევიწროვებისა, მას არ გაუწყვეტია კავშირი თავის კუთხესთან. მისი საუფლო, სული და გული რაჭა იყო.

გოჩა მარადიულობასთანაა წილნაყარი და არასოდეს ჩაქრება ის სანთელი, რომელიც მის ხსოვნასთან არის დაკავშირებული.

ნოდარი ხოსიტაშვილი

ნოდარი ხოსიტაშვილი წარმატებული, ლიდერის თვისებებით შემკობილი გამორჩეული ადამიანი იყო. რჩეულები ქმნიან საზოგადოებას და ღვთიური ნათლით შემკობილებს უჭირთ დედამიწაზე მრავალთა შორის ყოფა ადამიანური. კომუნისტური საზოგადოების ჭაობში ნოდარს შეეძლო ცხოვრების დღეები უზრუნველად გაელია, თუმცა მისი სული მარტივი არსებობისთვის არ იყო შექმნილი. უღმერთობის იმპერიამ დასუსხა, დამონება კი ვერ შეძლო. 1988 წლის ნოემბერში უამრავი ქართველი პატრიოტი იქცა გმირად და ნოდარიც ეროვნული მოძრაობის, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" უანგარო წევრი გახდა. უჭირდა სათაყვანებელ საქართველოს, უჭირდა ნოდარს.. სტკიოდა სამშობლოს დაქცეული სისხლი, თუმცა ერთი საყვედურიც არ დასცდენია , ისე განვლო ურთულესი გზა რიგითი მებრძოლიდან საგარეჯოს რაიონის ერთ-ერთ ულამაზესი სოფლის გიორგიწმინდის გამგებლობამდე. საქართველოს ყველაზე ახალგაზრდა გამგებელი დღესაც ახსოვთ თანასოფლელებს. მუდმივად სალაშქრო მდგომარეობაში მყოფს არ ღირსებია კაბინეტური ცხოვრება, არც უფიქრია ზვიადის და მერაბის გზიდან გადახვევა ამ ცხოვრების შესანარჩუნებლად. ეს იოლი არ იყო მხედრიონობის ჭანგამოდებულ საქართველოში.

სულით და ხორცით ქართველი ბოლომდე დაიფერფლა ერის სიყვარულში, მარად ახალგაზრდა გადავიდა ზეციურ საქართველოში, როგორც თვითონ უყვარდა თქმა, უკეთეს საქართველოში.

პეტრე (ბონდო) ტონია



შესანიშნავად ბრძანდები, ძაძიკო პეტრე

პეტრე ტონიას ნათელ ხსოვნას

შენ ლევანისნიერო, ძმაკაცო ჯაბაგო,
ჯერ რომ გეფრთხილა სიკვდილი კრეფელი?
ვილაცამ ყანდა პასუხი აგო,
ვინაც, ეტყობა, შოგიკლა გული.

შენს შარის ვერ ოლდი და მოსვლას ჩუმად,
მაგრამ ეს არ ისურვა ლოგინში.
თაყვა ჩვეული ვარ ტანჯვა-წვალების,
მე ფიქრობ ფუნის გარდაცვალებაზე.

ასე, თანდათან მეშლება ჭერი...
დამშვიდებია ჩემი მანდ მოსვლის ჯერიც.
შესანიშნავად ბრძანდები, ძაძიკო პეტრე!

P.S.

– გაყაბულოსი ჩვენზე ყველის ქალითვეულს? –
ბაბამ დამაფიქრა ეს სულიერი ძმური შენი.
მე კი მსურს ასეა, ეს ვფიქრობ: ლიტერატურის ნათელს,
ოლიმპიურად ყოფნას, მეგობარ, ძაძიკო, გეფერების.

ბონდ ტონია

25 ნოემბერი, 2007

– ასე თანდათან მეშლება ჭერი...
დამშვიდებია ჩემი მანდ მოსვლის
ჯერიც –

სანამ ვუოკუზროებ ბონდა ტონიანი
შენ ჩემი ბონდო ფიქრობ ჭერზე.

2007 წ. 10. დეკემბერი.
ოთოკოცანი.

Ф. Тонидзе

გენიალური მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის ეს მინიატურა არ შეიძლება რომ თითოეულ ჩვენგანს წაკითხული არ ჰქონდეს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ რომ ყველას გაეაზრებინა, თუ როგორ იყიდება საქართველო, . . . დაფიქრებულიყო და თავისი აზრი გამოეთქვა . . .

ალბათ ტექსტის წაკითხვის შემდეგ, ჩვენი მიზანი გაამართლებს !

იყიდება საქართველო

იყიდება საქართველო. მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით; წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით; მშვენიერის ენით; ნაქარგი ფარჩა-ხავერდით; ვაჟკაცურის ხასიათით, სტუმართ-მოყვარეობით; დიდებულის სანახაობით, წმინდა ჰაერით; ნაამაგევი სახლით და კარით; ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით; მჩქეფარე ნაკადულებით; ლურჯის ზღვით; მოწმენდილ-მოკაშკაშებული ცით; ერით, ბერით; თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით; გონებაგახსნილ ვაჟებით; მალხაზი ბავშვებით; ვერცხლისფერ თმით შემოსილ პატივსადებ მოხუცებით. იყიდება საქართველო დედით და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვრებით.

ჰყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული.

იყიდება ყველგან: ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, სატუსაღოში, ეტლში, მატარებელში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში.

იყიდება ერთიანად: შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი და სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი, რაჭა და ჯავახეთი. იყიდება პატარ-პატარ ნაჭრებათ, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიათ, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოთ; ბანკის დახმარებით და ჩვენის საშუალებით.

იყიდეთ ბარემ მთლად, გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრად დარჩენილი აძღებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს!

ილია ჭავჭავაძე: ზოგიერთი რამ

I

რაკი ჩვენს ღარიბს ლიტერატურაზედ და ეხლანდელს მწერლობაზედ დაიწყებ სადმე ლაპარაკსა, მაშინვე რაღაც მოდუნებულის პირის მთქნარებითა და, თითქო რაღაც სიმზაკვრით სავსეს სიხარულითა, მოგახლიან ხოლმე: ეხლანდელს მწერლებს ენა არ უვარგათო.

მეც, ცოტად თუ ბევრად, ამაზედ თანახმა ვარ, მაგრამ ერთი ეს მინდა ვიკითხო: გვაქვს კი ენა, რომ ვიწუნებთ კიდეც?..

ვიცი, ამ ჩემს, პირველ შეხედვით უსაფუძვლო, კითხვაზედ მე ბევრი თქვენგანი, მკითხველო, მასხარად ამიგდებს; მაგრამ აბა, მკითხველო, შენ მე ყური მომიგდე: მე გეტყვი და შენ დალაგებით და აუჩქარებლივ მისმინე. მე წინათვე ვიცი, რომ მასზედ, რასაც მე ვიტყვი, გული დაგეთანაღრება, აიტკიცები და შესწუხდები, მაგრამ შენ კი, მკითხველო, იქნება ის არ იცოდე, რომ თითო სიტყვას, რასაც ეს წერილი ქვევით მოგახსენებს, იქნება თითო კოშტი სისხლიც თან ამოჰყოლოდეს. რაზედ გაიჭირე საქმეო, მეტყვი შენ. იმისთვის, ჩემო ძმა, თუ დაო, რომ "თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისა"-ო, ჩვენის პოეტის არ იყოს.

II

აიღებს ბეჩავი ქართველი მწერალი ხელში კალამს თუ არა, მაშინვე გულამოსკვნით შედგება ხოლმე და თავის თავსა ჰკითხავს: ვის უნდა ველაპარაკო, და სისხლი ძარღვში გაუშრება ხოლმე. მართლა-და, ვის უნდა ელაპარაკოს? მეტყვიან: ყველასაო. დიაღ, კარგი და პატიოსანი, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, საყოველთაო რა გვაქვს, რომ მწერალმა ფრთა გაშალოს და იმაზედ განაღვლოს საყოველთაო ნაღვლითა, ანუ გალხინოს საყოველთაო ლხინითა? ქართველობა ხომ არა გგონია საყოველთაო სალხინებელი და სანაღვლებელი? დიაღაც ეგ უნდა იყოს, მაგრამ სად არის ქართველი და ქართველობა? ერთი ეს მინდა გკითხო: ვართ-ღა სადმე? როგორ თუ ვართ-ღაო, შემომიტევ წყრომით. თუ შენ, ჩემო მკითხველო, ადამიანობა, კაცური-კაცობა ხელში მჩვრად არ გადაგიქცევია, ვიცი, რომ ამ კითხვაზედ ძარღვი ჩაგწყდება; ისიც ვიცი, რა ტკივილიც ამოგაკვნესებს; მაგრამ ესეც უნდა იცოდე. რომ ბალღამში ამოვლებულს ჭეშმარიტებასაც ვაჟკაცური მოსმენა უნდა. რით ვერ გაიგე, რომ ჩვენ უბედურნი ვართ!.. ყური მომიგდე.

III

პატარა დალაგებით რომ დაუფიქრდე იმ ხავსმოკიდებულს გუბეს, რომელსაც ჩვენ, ქვეყნის სამასხარაოდ, ცხოვრებას ვეძახით, რომელშიაც ჩვენ, რაღაც დაუდეგარის კმაყოფილებით, ვჭყუპალაობთ, და რომლიდამაც ათასი სხვადასხვა-ფერი ნაკადული იწრიტება ცალ-ცალკე და სხვადასხვა გზით მიდის, და "რაოდენადაც ერთმანეთზედ შორსა ვალს, ეგოდენ დაუძლურდების", - ამ გუბეს რომ თვალღია და აუჩქარებლივ დააკვირდე, მაშინ შენც ჩემთან ამოიკვნესებ და იტყვი: "ვართ-ღაო!"

აჩქარებული კაცი, ის კაცი, რომელსაც უნდა შავი ფიქრები თავიდან მალე მოიშოროს, ადვილად გვიპასუხებს ჩვენ და გვეტყვის: ბრმანი ყოფილხართო. ეს ჩვენი დედაქალაქი და ეს შავის ზღვიდამ კასპიის ზღვამდე გუნდ-გუნდად მორიგებული მისი შვილი - სოფლები, ქართველები არ არიანო, მაშ ვინ არიანო. ქალაქი იქნება დედა იყოს, სოფლებიც იქნება მისი შვილები იყვნენ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დედის ძუძუ გაშრა და დედის ძუძუს შვილი აღარა სწოვს.

IV

ქართველები არ არიან, მაშ რა არიანო? არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი - ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა - თავადი, გლეხსა - ორივე, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთის დედის საქართველოს ოჯახის შვილნი? თავადის აზრი - სათავადოა, აზნაურის - სააზნაურო, გლეხის - საგლეხო, ვაჭრის - სავაჭრო, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთს თესლზედ აღმოსულნი?

თავადის აზრი აზნაურს არ უხდება, აზნაურისა - თავადსა, ორივესი - გლეხსა, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთისა და იგივე ხორცისა და სულისა ნაყოფნი და ერთის დედის, საქართველოს ძუძუთი გაზრდილნი? ეს ასომთავრული რომ ასომხედრულს გზას უღობავს, ეს თავადი რომ აზნაურს ზურგს უქცევს, აზნაური - თავადსა, ორივენი - გლეხსა; ეს ვაჭარი რომ სამივეს ერთნაირის სიხარბითა სწოვს, ნუთუ ესენი თვითეულად ცალკე და ყოველნივე ერთად ქართველი ჰგონია ვისმე! ქართველი საყოველთაო სახელია და ამათში რა არის საყოველთაო. ეგ თითო-თითოდ, ერთის გაწყვეტილის ჯაჭვის რგოლებივით რომ ცალ-ცალკე და თავ-თავად დავგორავთ, ზოგი აქეთ, ზოგი იქით, ნუთუ ეგ თვითეული ქართველი ჰგონია ვისმე!

თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, საცა მაგ თვითეულის გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი. ის საერთო ნიშანი მიჩვენეთ, საითკენაც თვითეულის ჩვენგანის ჭკვა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად, ხალისიანად და შეუპოვრად მიიწევდეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი. საერთო ლხინი მიჩვენეთ, საერთო ჭირი მაინცა, მაგრამ სად არის: ჩემი ლხინი შენი ლხინი არ არის, შენი ჭირი ჩემი ჭირი არ არის. ქართველი საყოველთაო სახელია და კიდევ ამას გკითხავ: საყოველთაო რა გვაქვს? ჩვენში არის: "მე თუ შენ, შენ თუ მე", და ორივენი ერთად კი არაო.

აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმოგდებულის ქართველის მეტმა (ე.ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო.

ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა, და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძოობითი სახელი-ღა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის მძიმე უღელი ჭირში, თუ ლხინში, ერთად ძმურად უწევნია, რომელსაც ერთისა და იგივე ენით ჭირში უგლოვნია, ლხინში უმხიარულნია, და რომელიც დღესაც ერთისა და იგივე ენით - თუ არაფერს აკეთებს - თავის მოძმეს მაინც აბეზღებს ღმერთთანაცა და კაცთანაცა.

V

იმერელი, გურული, მეგრელი, ქართლელი, კახელი - ეს ცალ-ცალკედ მითვისებული, კერძოობითად მიღებული, განმაყოფელი სახელები, ჩემის ზემოხსენებულის სიტყვის ცხადი მაგალითებია. მაგრამ მეტყვიან: ეგ ყველა ხალხში არისო. მართალია, მაგრამ არა ეგრე გულსაკლავად, როგორც ჩვენშია. იქ, სხვა ხალხში, საცა თვითეულს პირს თავის დამოკიდებულება თავის ხალხთან არ შეუწყვეტია და სისხლში და ხორცში გამჯდარი აქვს, იქ მაგისთანა სახელები შინაურობაში იხმარება ურთიერთის გასარჩევად და არა საქყვენოდ, საგარეოდ. მარსელში მცხოვრებელი ფრანციელი, რასაკვირველია, ფრანციელსვე ეტყვის, მარსელელი ვარო, მაგრამ უცხო ქვეყნელს კი ეტყვის, ფრანციელი ვარო. ეგ იმას ნიშნავს, რომ იგი შინაურობაში მარსელელია და გარეობაში - ფრანციელი. უცხოსათვის ერთი იმათგანია, საცა ყველანი ამისათვის ცხოვრობენ და ყველასათვის თითონა ცხოვრობს. ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი ძალა - ჩემი ხალხის ძალაა, ჩემი სიკეთე - ჩემი ხალხის სიკეთეაო, რომ ჩემი სისხლი ყოველს ფრანციელთან ერთად დუღსო, ყოველის ფრანციელის ცხოვრების ძარღვი ჩემის ცხოვრების ძარღვიაო, და თუ გინდაო, ყოვლის ფრანციელის ავად და კარგად მყოფობას ჩემს მაჯაზედ შეატყობო. ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი წყენა უცხოსაგან - ჩემი ხალხის წყენაა, და ჩემი ხალხის წყენა - ჩემი საკუთარი წყენაა.

ჩვენში? ეჰ, რაღა გითხრა მკითხველო! შენც კარგად იცი, რომ ქართველი ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ, არც მახლობლისათვის და არც უცხოსათვის. იმერელი - იმერელია, გურული - გურულია, მეგრელი - მეგრელია, ქართლელი - ქართლელია, და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან.

ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში - ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა "მე" ხშირია, და "ჩვენ" - იშვიათი!

VI

განვთვითეულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო-ასოდ დავიჭერით, და მაგ განთვითეულებამ, ცალ-ცალკეობამ ყოველგან და ყოველს-ფერში ის საქმე გვიყო, რაც ეზოპეს ზღაპარში თვითეულს წკეპლას მოუვიდა, ერთად ძნელად გადასამტვრევს. ამის შემდეგ, რასაკვირველია, საერთო სახელი აღარ შეგვრჩებოდა, და აკი აღარ შეგვრჩა.

რაკი ის დიდებული ქართველობის აზრი, ის საყოველთაო სახელი გონებიდამ გამოგვეცალა, ჩვენი გონება დაიფუყა, სულით და ხორცით დავკუწმაწდით. გონება ჩვენი, როგორც ყოველივე საგანი, რომელიც დაიფუყება, შეგვივიწროვდა, დაგვისუსტდა და, რასაკვირველია, ვეღარაფერს ფართოსა და დიდს აზრს ვეღარ დაიტევდა, და ვერ ზიდავდა... ამ მიზეზით ყოველივე აზრი, ფიქრი, სურვილი, გრძნობა დაგვინამცეცდა, გონებითად, ზნეობითად დავპატარავდით. მას აქეთ, რასაც კი ხელი მოვკიდეთ, ვეღარ მოვერივენით, რასაც კი გონების თვალით დავაკვირდით, გონებაში ვერ დავიტიეთ; ავიღეთ ყოველი იგი და დავანაკუწეთ, იმოდენა ნამცეცებად ვაქციეთ, რამოდენის ზიდვასაც თვითეულის ჩვენგანის ღონე შესძლებდა, რადგანაც მთელის ზიდვისათვის საერთო მხარი აღარა გვქონდა. ზემოთ ვსთქვი, რომ ერთიანი სახელი მთელის ჩვენის ხალხობისა ხუთ, თუ ექვს ნაჭრად დავყავით-მეთქი! გონებამ ჩვენმა ერთიანი, მთლიანი აზრი იმ სახელისა ვეღარ დაიტივა, ვერ ზიდა, აიღო და ის სახელი და მისი აზრი ხალხის მცირე ნაწილს დაარქვა. ამ-რიგად სიტყვას: ქართველს, რომელსაც საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, კერძოობითი მნიშვნელობა მიეცა. სიტყვას: მამულსაც - ეგ საქმე დაემართა.

VII

მამული!.. ამ სიტყვის ყოვლად-მპყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო. იქ, საცა ხალხობა დარღვეული არ არის და განთვითეულება - ეგ ჭირთაჭირი არა მეფობს, იქ მაგ სიტყვის აზრი ცხოვრების მიმნიჭებელი სულია, მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ თვითეულსა - მთელის ხალხისა და მთელს ხალხს - თვითეულისა ჭირი და ლხინი წარმოუდგება ხოლმე. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავის ქვეყნის ნაღველითა ნაღვლობს, ლხენითა ლხინობს, დღეობითა და დიდებითა - დღესასწაულობს. იქ მაგ სიტყვაში ყოველია, და ყოველში ყველა არის.

ჩვენში? ჩვენშიაც მაგ სიტყვას მაგეთი მნიშვნელობა ჰქონია თურმე. იცი როდის? როცა ჩემი "მე" და შენი "მე" ჩვენის ერთიანის ხალხის ცხოვრების საყევარში ერთად ბმულა.

ახლაო, მკითხავ, მკითხველო? ნუთუ მაგას კითხვა-ღა უნდა? განა შენ თვითონ არ იცი, რომ ეხლა ეგ დიდებული სიტყვა თვითეულის ჩვენგანის გათავთავებულს უძრავს ქონებასა ნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს, - ბინასა, რომელიც ქვისა და კირის მაგიერ ჩვენის მამა-პაპის სისხლითა და ძვლებით დამყარებულია. სადღაა მამული? ხორცის დაუძლურებას სულის დაუძლურებაც ზედ მოსდევს: განვთვითეულდით, და რამოდენადაც თვითეული ჩვენგანი მთელს ქართველობაზედ უძლურია და პატარა, იმოდენად თვითეულის ჩვენგანის აზრი საყოველთაო საგანზედ დაუძლურდა, დაპატარავდა. ჩვენს დაფუყებულს და შევიწროებულს გონებას სადღა შეეძლო ექონია ის ვრცელი და დიდებული აზრი დიდებული სიტყვისა? მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის-კაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე; მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზედ სადავო საჩივარია; მამულისათვის ძლევამოსილობა - მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვანად შემოწმებული; მამულის სიმაგრე - ტყრუშული ღობეა, ვენახ გარეშემო შემორტყმული; მამულის პატივი - ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულის-შვილობა - მხვნელისა და მთესველის სახელიღაა.

VIII

ზღვა კოვზით არ დაილევაო, ნათქვამია, აი თუ არ დაილევა, სად არის მამულის ყოვლად-მპყრობელი, ვრცელი, ფრთაგასაშლელი მნიშვნელობა?

განვიმეორებ, განვთვითეულდით, და თვითეულის ზურგმა ვეღარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველასათვის ადვილად საზიდია. თვითეულობით ტვინი ამოშრა, შევიწროვდა და მაგ სიტყვის დიდი მნიშვნელობა ვეღარ იტვირთა. რაღა უნდა გვექნა ამის შემდეგ? ავიღეთ და მთელი მამული, ერთიანი ჩვენი ბინა დავყავით, გავინამცეცეთ თვითეულის დონის კვალობაზედ ასე, რომ ზიდვაც შესაძლო ყოფილიყო ჩვენის ქონდრის-კაცობისათვის და დაპატარავებულს ტვინშიაც მოთავსებულიყო. დავაქციეთ ჩვენი დიდი ერთიანი სამშობლო ოჯახი, რომლის ბოძად იყო ერთიანი მხარი მთელის ქართველობისა, და მის ნაშთის ნამტვრევებისაგან პატარ-პატარა ხუხულები ავაშენეთ, რომელსაც საზოგადო სახელი "მამული" დავარქვით და რომელშიაც ჩვენც დავეტივენით, და ჩვენი ამომშრალის ტვინის და გონების აზრიც დავტივეთ; დავაქციეთ მამათა ჩვენთა სამარე, შვილთა ჩვენთა აკვანი; დიდი "მამული" დავშალეთ, პატარები გავიკეთე, და აქაც გავამართლეთ ჩვენის რუსთაველის სიტყვა: ყოველი მსგავსი მსგავსსა შობსო.

თვითეულმან ჩვენგანმან თავისი ხვედრი, დიდის "მამულის" ნაშთი, თავთავად შემოიღობა; იმ შემოღობილში თვითეულმან ჩვენგანმან თავისი საკუთარი ქვეყანა აიშენა და საზოგადო სახელი "მამული" თავის კერძო მამულს დაარქვა და თქვა: თუ მე არ ვიქნებიო, ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო. ამ სახით თვითეული ჩვენგანი თავის შემოღობილში შეიკეტა, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აიჩინა; და რომ თვითეულმან ჩვენგანმან საერთო საქმეს თვალი მოაშორა და გონება თავისი საერთო საგანზედ აღარ ავარჯიშა. ის გონებაც ისე დაუბრმავდა, რომ იგი თავის ქონების ღობის იქით ვეღარ გადაუცილებია, რომ თავის მოძმეს გაეხმაუროს მაინცა.

IX

ეხლა, ჩემო მკითხველო, შენ შენს კერძო მამულზედ სწუხარ და სტირი, მე ჩემს კერძო მამულზედა, ყველას გაცალკევებული, საკუთარი და კერძო ნაღველი გვაქვს, როგორღა მივუყენებთ ერთმანეთს აზრსა? რადგანაც ვიცით, რომ ვეღარ მივუყენებთ ერთმანეთს აზრსა, ამიტომაც სალაპარაკოდაც აღარ შევყრილვართ. ან სალაპარაკოდ რიღასთვის უნდა შევყრილიყავით? ლაპარაკი აზრის აღებ-მიცემობაა. მე რა მაქვს შენთან საერთო, რომ ერთად გვეაზრნა, საერთო აზრის აღებ-მიცემობა გაგვეწივა.. რაკი შენ იმერლობა დაირქვი და მე კახელობა, მე შენთან სალაპარაკო აღარა მაქვს-რა და შენ - ჩემთან; რაკი შენ შენს სახნავს მიწას და ერთობ შენს უძრავს ქონებას შენი მამული დაარქვი და მე ჩემსას - ჩემი, მე შენთან საერთო მოსაფიქრებელი აღარა მაქვს-რა, და შენ - ჩემთანა. ამიტომაც დავშორდით ჩვენ ერთმანეთსა, შენ იქით წახველ და მე აქეთ წამოვედი, და მას აქეთ მე და შენ ერთად აღარ გვილაპარაკნია. დიდი ხნის ულაპარაკობამ, როგორც აზრით, ისე სიტყვითაც, ერთმანეთს დაგვაშორა. ერთიერთმანეთის სიტყვას ყური გადავაჩვიეთ: შენ ჩემი სიტყვა ან სულ არ გესმის, და თუ გესმის, შენებურად გესმის, მე კიდევ შენი სიტყვა ჩემებურად მესმის. ამიტომაც ქართველი ვეღარავის გვიცვნია, თუმცა კი ყველანი ქართულად ვლაპარაკობთ. რათ მოხდა ესე? იმიტომ მოხდა, რომ ჩვენ ყოველსფერში გავთავ-თავდით, აზრი და ყოველი საგანი გავითავთავეთ და სიტყვაც, რომელიც მარტო აზრისა და საგნის ნიშანია, გათავ-თავდა. ამიტომაც ჩვენი ენა კილოიანი გახდა, იგავიანი, ორპირი შეიქმნა ასე, რომ ერთ და იგივე სიტყვას მრავალგვარი აზრი მიეცა. აბა რა გითხრა იმისთანა, რომ შენ კილო არ გამოაბა? მიირთვიც რომ გითხრა, ამ კარგს დარბაისლურს სიტყვას, თუ მოინდომებ, ცუდად ჩამომართმევ, თუ ნამეტნავად ზოგიერთა კაცის გულის გარყვნილებაში შენც წილი ჩაგიდვია. შემობრძანდი რომ მითხრა, ხომ კაი სიტყვაა, ეგ ჩემზედ ჰკიდია, საწყენად მივიღო, თუ სალხენად. აი აქ "ჰკიდია" ვიხმარე და შენც ათასჯერ ხმაროს, მაგრამ ვშიშობ, რომ მაგ სიტყვას ერთმა ბრიყვმა ვინმე თავისის წამხდარისა და გარყვნილის გონების აზრი არ მიაწეროს.

X

სადღა არის ეხლა ქართული ენა? ან გვინდაღა ქართული, როცა ჩვენ თითონ ჩვენდა დასაღუპავად ქართველობაზედ ხელი ავიღეთ? გონებით რომ აღარ ვსცხოვრობთ, ქართულს ენას აზრს როგორღა გამოათქმევინებთ? ერთობისათვის რომ აღარა ვართ, ერთნაირს სიტყვის მნიშვნელობას როგორ მოვსთხოვთ ჩვენს ენასა? თუნდ რომ ჩვენს ენას და სიტყვას აზრიც გამოათქმევინოთ, ვის რად გინდათ, ენას აზრს ვინღა სთხოვს? ჩვენ თითონ დავცალიერდით გუდაფშუტასავით, ცალიერი სიტყვებიღა გვინდა, ცალიერი ხმები, რომ ენამ პირში იშტვინოს და ყურმა ძარღვი იფხანოს. სხვა რისთვის გვინდა ენა? საერთო სახელი ქართველი კერძოობითად გავხადეთ, მამული დანეხვილ ნაფუძვრად გარდავაქციეთ, პატივი - ნეხვად, თავი - გოგრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დავუმატეთ, და მის შემდეგ კიდევ გინდათ, რომ ენა გვქონდეს?

XI

ჩვენ რომ ერთი-ერთმანეთს გადუდექით, თავი შევიკეტეთ ჩვენს პატარა ხუხულაებში და ერთი-ერთმანეთს აღარ გაველაპარაკენით, რასაკვირველია ენაც დაგვიმუნჯდებოდა და დაგვიკოჭლდებოდა. მეტყველების ნიჭს ისეთი ვარჯიშობა უნდა, როგორც ყველაფერს სხვას. მეტყველების წყარო აზრია და აზრის წყარო გონებითი ცხოვრებაა. ჩვენ განკერძოვების შემდეგ გონებითად აღარ გვიცხოვრია და რადგანაც ენას მაინც პირში ტოკვა უნდოდა ჩვეულებისამებრ, ავიღეთ და უაზრო ხმები, რომელიც ჩვენი ხუხულაების გარეშემო პირუტყვის ბუნებაში ისმოდა, ენის სალაქლაქო ქართულ სიტყვებად ვაქციეთ, და მადლობა ღმერთსა, დღევანდლამდე ამ-გვარის სიტყვებით იოლად მივდივართ. ამიტომაც პირუტყვ-ბუნების ხმის მსგავსის სიტყვებით აივსო ჩვენი ენა. და დახე, თუ ერთი გონებითი აზრის მცველი სიტყვა ემატნა. მაგალითები ათასია: ფრიალი, კრიალი, ბრიალი, პრიალი, გრიალი, ქრიალი, ღრიალი, ჭრიალი, ხრუტუნი, ღრუტუნი, სრუტუნი, წრუტუნი, ჟრუტუნი, ფრუტუნი, და ათასი ამისთანით აივსო აზრმოკლებული, უნიადაგო ჩვენი უბედური ენა. სადღაა ქართული ენა? ქართველობა გათავ-თავდა, მამული - აგრეთვე, სადღა გაიბას ქართულმა ენამ თავისი ფესვი საერთო აზრიანობისათვის? კიდევ იმას ვიტყვი, რაც ზემოთა ვსთქვი: მე რა მაქვს შენთან საერთო, რომ ერთად გვეაზრნა, რომ ერთმანეთის აზრის აღებ-მიცემობისათვის საერთო მნიშვნელობის სიტყვა და ენა შეგვექმნა? შენ შენთვისო, მე ჩემთვისო, ძმებმა ერთმანეთს ვუთხარით, ცივად ერთმანეთს თავი დავუკარით, უცრემლოდ ძმა ძმას გამოვესალმენით, უკანასკნელი საერთო სიტყვა "მშვიდობით" უკანასკნელადღა ვახსენეთ, შენ იქით წახველ და მე აქეთ, თვითეულად, თავ-თავად, და ვინ იცის, როდისღა შევხვდებით ერთმანეთს, რომ კიდევ ძმური, ერთიანი, განუყოფელი ქართული `გამარჯვება" მითხრა შენ - მე, და მე - შენ, ჩემო დაკარგულო ძმაო, თუ დაო!..

[1866-1876 წ.]

საუკუნე უახლესი

ამ ენგურჰესით და ჟინვალჰესით,
სურთ საქართველოს აუგონ წესი.
ჩვენ ბრგე ციხეებს, ტანკენარ ტაძრებს,
ეს საუკუნე სპობს უახლესი.
მალე გვექნება მინაძე ჰესი,
დაშლის ვარძიას, ზარზმას და ხერთვისს
გმინვა-გოდება ჯავახის, მესხის,
აბობოქრებულ ტალღებს შეერთვის..
ამ ხუდონ-ჰესით, ნამოხვანჰესით,
სვანეთს და ლეჩხუმს სურთ დასცენ მეხი,
რომ სამუდამოდ ჩვენს მთიანეთში,
ამოუკვეთონ ქართველ კაცს ფეხი.
ამ ენგურჰესით და ჟინვალჰესით,
სურთ საქართველოს აუგონ წესი.
თან გვარწმუნებენ, იცავსო ძეგლებს
ეს საუკუნე უდიადესი !

ზვიად გამსახურდია

ხუდონჰესი — ჰიდროელექტროსადგური, რომელიც 1985 წლიდან შენდება საქართველოში, ხაიშის თემში, მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარე ენგურზე. ამბობენ, მისი სიმძლავრე 704 მეგავატი, ხოლო გამომუშავება წელიწადში 1,5 მილიარდი კვ/სთ იქნებაო. კაშხლის სიმაღლე კი 202 მეტრითაა განსაზღვრული. ხუდონჰესის მშენებლობის იდეა XX საუკუნის 70–იანი წლებიდან გაჩნდა. სამშენებლო სამუშაოებიც დაიწყო, თუმცა ეროვნული მოძრაობის, სტუდენტების პროტესტის და ადგილობრივი მცხოვრებთა ძალისხმევით პროექტი შეჩერდა. თუმცა, ხუდონჰესის აშენების საკითხი კვლავ აქტუალური გახდა 2000-იან წლებში. 2007 წლის ივნისში გაფორმდა საწყისი ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოს მთავრობასა და ინდურ კომპანია Continental Energy International-ს (რომელმაც შემდგომ შეიცვალა სახელი და გახდა შპს „ტრანს-ელექტრიკა“) შორის. ტრანს-ელექტრიკამ მშენებლობის უფლება 2011 წელს მოიპოვა. კომპანიას 1536 ჰექტარი მიწა 1 ამერიკულ დოლარად გადაეცა. მას შემდეგ მიმდინარეობს ცხარე დებატები მიღებული სარგებლისა და გამოწვეული დანახარჯების შესახებ.ამჟამად ხუდონჰესის მშენებლობა დროებით შეჩერებულია.

თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ხუდონჰესის წყალსაცავის სარკის ზედაპირი 5,2 კმ² იქნება ხოლო წყლის მოცულობა 500 მლნ. მ³. უსაფრთხოების ნორმების დარღვევის, მიწისქვეშა ბიძგების, დივერსიის ან ტერორისტული აქტის შედეგად კაშხლის დაზიანების შემთხვევაში წყლის მასა შეუერთდება ჯვრის წყალსაცავს. არსებობს რისკი რომ ენგურჰესის კაშხალი ვერ გაუძლებს ამ რაოდენობის წყლის წნევას, გაირღვევა და 1600 მლნ. მ³ წყალი გამონთავისუფლდება, წყლის ეს რაოდენობა საფრთხეს უქმნის დასავლეთ საქართველოს და თურქეთის ჩრდილო–აღმოსავლეთ ნაწილს. ამასთან ერთად ხუდონჰესი შეცვლის ჰავას რეგიონში, ტენიანობის მომატების შედეგად კი განადგურდება მსოფლიოს მემკვიდრეობის სიაში შეტანილი ძეგლი – უშგულში მდებარე სვანური ციხე–სახლები და კოშკები. ასევე შესაძლოა ეკოციდის საფრთხის ქვეშაც აღმოჩნდეს ქვეყანა, წყლით დაიფარება 1536 ჰექტარი მიწა, საიდანაც 1100 ჰექტარი ტყეა. ჰესს არ შეუძლია საქართველოს ენერგობალანსის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება ზამთრის მშრალ თვეებში, როდესაც ელექტროენერგიაზე მოთხოვნა პიკს აღწევს სეზონურობის გამო. ხუდონჰესი ისე შეცვლის კლიმატს სვანეთში, რომ ახალ სათხილამურო კურორტ მესტიაში ჩადებული მილიონობით ინვესტიცია შეიძლება წყალში გადაყრილი აღმოჩნდეს. ხაიშის დაცარიელება და დატბორვა ავტომატურად ხაიშის თემის 18 სოფლის დაცარიელებასაც ნიშნავს. გარემოსდაცვითი ორგანიზაციების აზრით, სვანეთში, ენგურჰესის შემდეგ, მეორე დიდი ხელოვნური ტბის გაჩენა ეკოლოგიურ მდგომარეობას უკიდურესად დაამძიმებს. უკვე ათწლეულებია მიმდინარეობს საუბარი, დარჩება თუ არ დარჩება სოფელი ხაიში და ათწლეულების განმავლობაში ელემენტარულად მოსახლეობამდე ვერ მივიდა ელემენტარული ინფორმაცია, რომ არაფერი ვთქვათ გარანტიებზე.

კითხვაზე, თუ რამდენად გამართლებულია ეს ეკონომიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით, დღესაც შეიძლება ვუპასუხოთ ასე: შედეგად ჩვენ მივიღებთ საქართველოს კიდევ ერთ დაცარიელებულ ტერიტორიას, მით უმეტეს, რომ ეს არის სასაზღვრო ტერიტორია და ძალიან მნშვნელოვანია, რომ აქ მოსახლეობა და დასახლებული პუნქტები შენარჩუნებული იყოს, მითუმეტეს, თუ ობიექტურ მეცნიერთა საკმაოდ დიდი ნაწილი ამჟამადაც თვლის, რომ ხუდონჰესი არ უნდა აშენდეს!

ზვიად გამსახურდია - ,,პოეტი და მუზა"

1. დაცემული მუზა

მუზამ აიღო ქრთამი,
სხვას მიეკედლა მუზა,
მისწევდა მის ფრთათა ჩქამი,
მტრის კართან აიტუზა.
მუზამ იყარა ქოში,
კალთები აიკეცა,
ვაჭარ პოეტთა ბრბოში
ცქრიალებს მატრაკვეცა.
მუზამ გაუგო გემო
პატივს ხალათს და ჩინსა:
“ნურც გამიხსენებ ჩემო,
დიდებულთ თვალის ჩინსა”,
მითხრა და უცებ გაქრა,
არც უდარდია ჩემზე,
მუზა გამხდარა აფრა
დიდ სოვდაგართა გემზე.
გადაივიწყა ცრემლით,
რარიგ თუთქავდა გულებს,
მუზა გამხდარა გრდემლი,
ზედ სჭედენ ვერცხლის ფულებს.
გასწირა ოქროს ვერძი,
გახდა ღორების მწყემსი,
გახდა პოეტი თერძის
მაქო, ძაფი და ნემსი,
გადაივიწყა გედი,
გახდა ბატების ძიძა,
ირჩია ხარჭის ბედი,
ტრფიალი დაამიწა,
ო, აღარ გალობს ქნარზე
მზიურ ოცნების ნავში,
მუზა მიადგა კარზე
ვაჭარ პოეტთა კავშირს,
მათ კი ქვესკნელის ურჩხულს
მუზა მიჰგვარეს ხასად,
უსმენს ღვთაებრივ ჩურჩულს
ქვეწარმავალი ნასად.
დავჯექ და ცრემლი ვღვარე,
ვჭამე პეშვებით მიწა.
თავს მადგა შავი მთვარე
და... უცებ გამეღვიძა.

2. ჭეშმარიტი მუზა

აჰა, უეცრად გაქრა
ეს საზარელი ხილვა,
მუზამ ფრთის წვერი გამკრა,
ნაზად დამიწყო კილვა:
“რად დაიჯერე ჩმახი,
ეგ სიზმარია კრული,
დიდ პოეზიის ჭაღი,
დიდ აღმაფრენის სული
განა ჩაჰქრება ოდეს,
თუნდ ჩამოიქცეს ზეცა,
ავდარს სიამედ მოსდევს
ბადრი მთვარე და მზეცა.
იმად ვიცვალე სახე,
აღარ გამოვჩნდი ცადა,
რახან მიჯნურად გსახე,
შენი გამოცდა მწადდა.
არ შეორგულდი, ვიცი,
არ ამედევნე თანა,
არ შეგიბღალავს ფიცი
და პოეზიის მანნა
სასოწარკვეთილს, გულმწყრალს
ცრემლი გდენია თქეშად,
მაგრამ სინდისი ურცხვად
შენ არ მიჰყიდე ეშმას
და მის მსტოვართა ბრბოში
არ გაერიე შენა,
არ დაიჯერე როში,
არ წაიბილწე ენა.
ჩემის დაცემის მნახველს
ცრემლის გდენია ღვარი,
მაგრამ ჩემს წმინდა სახელს
გიჩურჩულებდა ქარი.
განა დაისის ღრუბლის
ცის კაბადონზე ფენა.
ჩემი ნათელი შუბლის
შენთვის არ იყო ჩენა?
განა ტალღათა ტაში,
განა ნიავთა ნანა
არ გიმღეროდა მაშინ,
რომ დაგყვებოდი თანა?
ამიერიდან შენთან
იქნება შენი მუზა,
შენთან ჩაუშვა ღუზა,
შენს სულში ჩაიღვენთა.

„კაცო, ძალას ნუ იქადი, ნუცა მოჰკვეხ ვითა მთვრალი!
არა გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღმრთისა ძალი!
დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს ნაპერწკალი,
ღმერთი გფარავს, სწორად გაჰკვეთს, შეშა ვის ჰკრა, თუნდა ხმალი“.
„ბრძენთა ვინმე მოსწავლემან საკითხავსა ესე ვპოვნე,
ესა�ო მამაცისა მეტისმეტის საგულოვნე,
ოდეს მტერსა მოერიო, ნუღარ მოჰკლავ, დაიყოვნე,
გინდეს სრული მამაცობა, ესე სიტყვა დაიხსოვნე“.

„... ქართველო ერო, შენ წინაშე არის ორი გზა, შენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მივიდა გზა-გასაყართან. აი, გზა ილია მართლისა, აი, გზა სიწმინდისა, ზნეობისა. აი, გზა დემოკრატიისა. აი, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა და აი, ყაჩაღობისა და მზაკვრობისა. აი, გზა ტერორიზმისა! აირჩიე, ქართველო ერო, აირჩიეთ, ქართველებო, აირჩიეთ ქრისტეს გზა და კეთილის გზა, აირჩიეთ ილია მართლის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს. და ვინც წავა წარწყმედის გზით, ბარაბას გზით, შეჩვენებულ იყოს უკუნისამდე.

ჩვენ, ძმანო, ვდგავართ პირისპირ სატანასთან, გველეშაპთან. ან ჩვენ დავამარცხებთ მას წმინდა გიორგის ძალისხმევით, ან ის შთანთქავს ჩვენს ისტორიულ ბედ-იღბალს და გაგვთელავს ჩვენ ეს კოსმიური გველეშაპი, ეს პლანეტარული მხეცი, ანტიქრისტე, რომელიც წარმოგვიდგა და გვეუბნება: აი, ეროვნული მოძრაობაო, და ეროვნული მოძრაობის ნიღბით და საფარით მოდის ანტიქრისტე, მოდის ბარაბა და მოდის შეჩვენება...".

ISSN 1987-7986 helsinkiunion@gmail.com

სარედაქციო კოლეგია: ნოდარ კიკნაძე (595353505), ნუკრი ბაღდავაძე, ხათუნა აგლაძე